ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ"

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

გიორგი ხითარიშვილი

25 იანვარი 2022 წელი

N 3/36

ეგზ. N1

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა
რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 4
შემაჯამებელი მიმოხილვა 6

1. შესავალი 15
   1.1 აუდიტის მოტივაცია 15
   1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები 16
   1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 16
   1.4 აუდიტის კრიტერიუმები 18
   1.5 აუდიტის შეზღუდვები 19

2. ზოგადი ინფორმაცია 22
   2.1 აუდიტის სფეროს ზოგადი დახასიათება 22
   2.2 მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა
   რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის დაფინანსების სისტემა 24

3. აუდიტის მიგნებები 27
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები 27
   3.1 სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაკლოვანებები 27
   3.2 სერვისებსა და ღონისძიებებში ბენეფიციართა ჩართულობის
   დაბალი მაჩვენებელი 30
      3.2.1 პროცესის განხორციელების ნაკლოვანებები 34
      3.2.2 სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართულობის ნაკლოვანებები 40
      3.2.3 პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები 47
   3.3 ბენეფიციართა განათლებით უზრუნველყოფის პროცესში
   გამოვლენილი ხარვეზები 53
   3.4 ბენეფიციართა დასაქმების პროცესში არსებული ხარვეზები 59
   3.5 მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის
   გაუმჯობესების პოტენციალი 65
   3.6 სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლოვანებების
   გავლენა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე 68

ბიბლიოგრაფია 75
დანართი N1 77
დანართი N2 80

ტერმინთა განმარტებები

ბენეფიციარი – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული მსჯავრდებული ან ყოფილი პატიმარი;

ყოფილი პატიმარი – პირი, რომელიც წარსულში იხდიდა სასჯელს საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა;

შემთხვევის მართვა – მეთოდი, რომელიც გამოიყენება მრავალმხრივი საჭიროების[1] მქონე ბენეფიციართან, მოიცავს გაწერილ ეტაპებს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ინდივიდუალური დაგეგმვა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით. შემთხვევის მართვა ხორციელდება სოციალური ადვოკატირების მექანიზმის[2] გამოყენებით, შესაბამის ორგანიზაციებსა და სპეციალისტებთან თანამშრომლობით;

რისკის მართვა – დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის ან დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შემცირება;

რისკისა და საჭიროებების შეფასება – პროცესი, რომლის დახმარებითაც რისკისა და საჭიროებების დოკუმენტში ასახული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება ბენეფიციარის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის განსაზღვრა, კრიმინოგენური ფაქტორების იდენტიფიცირება და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის დადგენა;

კრიმინოგენური ფაქტორები – პირის დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ნებისმიერი ფაქტორი, რომლის პოზიტიური ცვლილებაც ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას;

ინდივიდუალური გეგმა – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გაწერილ მომსახურებათა ერთობლიობა, რომელიც, კრიმინოგენური ფაქტორების გათვალისწინებით, მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შემცირებისკენ. ინდივიდუალური გეგმა მსჯავრდებულების შემთხვევაში გულისხმობს „სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას“, ხოლო ყოფილი პატიმრების შემთხვევაში – „ინდივიდუალური მომსახურების გეგმას“;

გარდამავალი მენეჯმენტი – პატიმართა დახმარება და მათთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდება, დაკავების დღიდან გათავისუფლებამდე და გათავისუფლების შემდეგ;

სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომ – საბჭო) – არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო;

---

1 შეფასების შედეგად ბენეფიციარი საჭიროებს მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით. მაგალითად, ალკოჰოლ/ნარკოდამოკიდებულების, სხვადასხვა ქცევისა და აზროვნების კორექციის, სოციალური თანადგომის, განათლების, დასაქმების და სხვა მიმართულებით.

2 სოციალური მუშაკების მიერ ბენეფიციარის უფლებების დაცვა.

განმეორებითი დანაშაული – წარსულში ნასამართლევი პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა;

რეციდივი – წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა;

სტრუქტურული ერთეულები – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი უწყებები (პენიტენციური სამსახური, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო);

განათლება სოციალურ მუშაობაში – პირს, რომელსაც აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული, ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში სხვადასხვა რეფორმები განხორციელდა. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაინერგა პროგრამები და სერვისები, რომლებიც მორგებულია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებებზე და მიმართულია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გზით მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.[3]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზები, ნაკლოვანებები და გამოწვევები, რაც განხილულია წინამდებარე ანგარიშში.

ბენეფიციართა აღრიცხვიანობის ნაკლოვანებები

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში არსებული პროგრამული უზრუნველყოფა არ იძლევა ბენეფიციართა შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას.[4] ამასთანავე, ბენეფიციართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის შესახებ მოწოდებულ რეესტრებში ასახული ინფორმაცია შეიცავდა ხარვეზებს, არ იყო სრულყოფილი და ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემები არ იყო ზუსტი. გარდა აღნიშნულისა, აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებების გამო, სტრუქტურული ერთეულების მიერ ვერ იქნა მოწოდებული სრული და ზუსტი ინფორმაცია ბენეფიციარებთან მიმართებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის შესახებ.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ იდენტიფიცირებულია ზემოაღნიშნული ხარვეზები და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, ბენეფიციართა აღრიცხვის ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაკლოვანებები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს აღნიშნული მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, 2017-2018 წელს შესაბამის

---

3 სამინისტროს განმარტებით, შეიქმნა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განყოფილება/სამმართველოები, სისტემაში დასაქმდნენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რომელთა გადამზადებაც ყოველწლიურად მიმდინარეობს, პროცესის სამართლებრივად წარმართვისთვის განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილება, დაინერგა შემთხვევის მართვისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტები, მომზადდა შესაბამისი გზამკვლევი, შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამები. აუდიტის ობიექტის განმარტებით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელმისაწვდომობის და მომსახურების ხარისხიანად მიწოდების მიზნით, მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

4 პენიტენციურ სამსახურში არსებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მონაცემთა ცენტრალიზებული ელექტრონული ბაზის (JMS) პროგრამიდან, მონაცემების ამოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ კონკრეტული დღის მდგომარეობით, როდესაც ხდება ინფორმაციის გადმოწერა (ექსპორტი).

განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს ინდივიდუალურად შემუშავებული არ ჰქონდათ და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ერთეულის, სამუშაო ჯგუფების დოკუმენტებში.[5] ამასთანავე, გეგმებში მითითებული აქტივობები მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი შეფერხებებით, ხოლო გარკვეული მათგანი არ დაწყებულა.

საქართველოს იუსტიციის და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გაერთიანების შემდგომ, 2018 წელს, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით დაგეგმილ 13 აქტივობას, განსაზღვრული 37 ინდიკატორით. აღნიშნული ინდიკატორებიდან დასრულებულია 57%, მიმდინარეა – 38%, ხოლო არ დაწყებულა – 5%. შეუსრულებელი საქმიანობის ძირითად მიზეზად მითითებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემია და აქტივობების ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულება.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ სერვისებსა და ღონისძიებებში ბენეფიციართა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია. გარდა აღნიშნულისა, პროცესი სრულყოფილად ვერ ხორციელდება ყველა ბენეფიციარის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში. კერძოდ:

- 2017-2020 წლებში **პენიტენციური დაწესებულებებიდან** პირობით ვადამდე გათავისუფლდა ან სასჯელი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი ფორმით, ჯამურად – 4,866 ბენეფიციარს, საიდანაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ ძირითად პროგრამებში ჩართული იყო მხოლოდ 20%. აღსანიშნავია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, მსჯავრდებულთა უმრავლესობის მთავარ მამოტივირებელ ფაქტორს წარმოადგენს რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის დადებითი გავლენა სასჯელის შემსუბუქებაზე. არსებული მდგომარეობით, მსჯავრდებულთა პროცესში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის მიზნით, წამახალისებელი აქტივობები დანერგილი არ არის, თუმცა მიმდინარეობს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.
- სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება აგებული უნდა იყოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს: მსჯავრდებულთა დასაქმებას, განათლებას და გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემთხვევის მართვა არ ხორციელდება, როგორც პირობით, ასევე პატიმრობაში მყოფი ყველა მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრების მიმართ. კერძოდ:

---

5 საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ყოველწლიური სამოქმედო გეგმები; იუსტიციის სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა; საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია; ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტები; 2017-2020 წლების სამთავრობო პროგრამები; ძირითად დოკუმენტს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები იყო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამა და ქვეპროგრამა.

- **პენიტენციურ დაწესებულებებში** აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შეფერხებებით და 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, 7,321 სრულწლოვანი მსჯავრდებულიდან, შემთხვევის მართვა მიმდინარეობს მხოლოდ **366 (5%)** ბენეფიციარის მიმართ;[6]
- რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭიროა როგორც ფსიქოლოგის, ასევე სოციალური მუშაკის ჩართულობა. შესაბამისი სპეციალისტების საკადრო დეფიციტის გამო, პროცესი არ არის ხელმისაწვდომი პრობაციის სააგენტოს ყველა რეგიონსა და ოფისში.[7] ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს სავალდებულოდ განესაზღვრება სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა. დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, ხდებოდა თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულება იმ რეგიონებში, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტი.
- **ყოფილ პატიმრებთან მიმართებით,** პროცესი 2020 წლამდე 5 ოფისში, დღეის მდგომარეობით კი, მხოლოდ თბილისში მიმდინარეობს. პენიტენციური სამსახურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2019-2020 წლებში პენიტენციური დაწესებულება დატოვა 7,879 მსჯავრდებულმა, ხოლო პროცესში ყოფილი პატიმრის სტატუსით ჩაერთო მხოლოდ **4.5%. 2021 წლის ივნისის** მდგომარეობით, **ყოფილ პატიმართა** რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული 311 ყოფილი პატიმრებიდან, სოციალური მუშაკები მუშაობენ 190 ბენეფიციართან, ხოლო **121 ბენეფიციარი** რაიონული ოფისების დახურვისა და სპეციალისტების შემცირების გამო, ვერ იღებს შესაბამის მომსახურებას. შესაბამისად, ყოფილი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებით, ჩაერთოს და ისარგებლოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული სერვისებით.

- სტრუქტურულ ერთეულებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მნიშვნელოვანი საკადრო დეფიციტია ბენეფიციარების რაოდენობასთან მიმართებით. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში გამოვლინდა სპეციალისტების სისტემიდან გადინების ტენდენცია. კერძოდ:
  - 2019 წელს, **15 პენიტენციური დაწესებულებიდან,** სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი), ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 6 მათგანში, 2020 წელს კი 13-დან – 5 პენიტენციურ დაწესებულებაში. ასევე ამავე პერიოდში, **პრობაციის სააგენტოს 64 ოფისიდან,** სოციალური მუშაკი არ იყო ხელმისაწვდომი 45-ში, ფსიქოლოგი კი – 43 -ში;
  - სტრუქტურული ერთეულებიდან სპეციალისტთა გადინებისა და შესაბამის ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული კონკურსების უშედეგოდ დასრულების მაჩვენებელი მაღალია, რისი ძირითადი მიზეზი სამოტივაციო ფაქტორების ნაკლებობაა;[8]
  - 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, პენიტენციურ სამსახურში დასაქმებული

---

6 იმ დაწესებულებებში, სადაც არ მიმდინარეობს შემთხვევის მართვის პროცესი, დანერგილია ე.წ. მოთხოვნის/საჭიროების მოდელი.

7 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პრობაციის სააგენტოს თბილისის ოფისების გარდა, ფსიქოლოგის მომსახურება ხელმისაწვდომი იყო 9-დან მხოლოდ 5 რეგიონში, სადაც რეგიონის მასშტაბით უფლებამოსილებას ახორციელებდა თითო ფსიქოლოგი (გარდა აჭარა-გურიის რეგიონისა, რომელიც გაერთიანდა 2020 წელს და უფლებამოსილებას ახორციელებდა 2 ფსიქოლოგი). ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ რეგიონების მასშტაბით ფსიქოლოგები უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ კრიზისული შემთხვევების დროს, აღნიშნული კი ვერ უზრუნველყოფს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილ და ეფექტიან განხორციელებას.

8 სტრუქტურულ ერთეულებში პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) მოტივაციის ასამაღლებლად დანერგილია სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიება, თუმცა აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

სოციალური მუშაკების 91%-ს, ხოლო პრობაციის ოფისებში დასაქმებულების 21%-ს, არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია/განათლება სოციალური მუშაობის მიმართულებით.[9]

- პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეფიციტია, ხოლო არსებული, საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. **13 პენიტენციური დაწესებულებიდან,** სპეციალისტების მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური შეხვედრის ოთახები 5 მათგანშია ხელმისაწვდომი, დანარჩენ დაწესებულებებში შეხვედრები ხორციელდება საზიარო ოთახებში,[10] სადაც შეხვედრების გამართვა მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, პროცესში დანერგილი პროგრამებისა და სერვისების ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი სივრცეები და მატერიალური ბაზა. 2019-2021 წლებში პრობაციის სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივობები[11], თუმცა დღეის მდგომარეობით **პრობაციის 65 ოფისიდან,** ინდივიდუალური შეხვედრების ოთახი 7 მათგანში არ არის, ხოლო 33 ოფისში შეხვედრები მიმდინარეობს საზიარო ოთახებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში განხორციელებული ღონისძიებები, აუდიტის პერიოდში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნების მიღწევას.

ბენეფიციართა განათლებით უზრუნველყოფის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

მსჯავრდებულთა განათლების მიღების ნაწილში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მსჯავრდებულთა სურვილსა და შესაძლებლობებზე მიიღონ სრულფასოვანი განათლება. კერძოდ:

- არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს **უმაღლესი განათლების** მიღების ხელმისაწვდომობას ნახევრად ღია, დახურული, განსაკუთრებული რისკისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის, მაშინ როდესაც აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხოვნობა სრული რაოდენობის **95%**-ს შეადგენს.
- სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის **ზოგადი განათლების** მიღება ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი შესაძლებლობებით, შესაბამისი პედაგოგების დახმარების გარეშე. ამასთანავე, მათ შესაბამისი სასწავლო წიგნებით განათლების სამინისტრო და პენიტენციური დაწესებულებები არ უზრუნველყოფენ. აღნიშნულ ბენეფიციარებს წიგნებს აწვდიან სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, პირადი ინიციატივისა და კონტაქტების საშუალებით მოძიებული მასალებით; აუდიტის პერიოდში, სრულწლოვანთა დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთაგან, მხოლოდ სამმა მათგანმა ჩააბარა შესაბამისი გამოცდა, რაც დაბალი მაჩვენებელია და შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოაღნიშნული მიზეზებით.

---

9 პრობაციის სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს გავლილი ჰქონდათ მხოლოდ მოკლევადიანი სატრენინგო კურსები.

10 ძირითადად, სამართლებრივი რეჟიმის წარმომადგენლების და ექიმის ოთახებში.

11 2019-2021 წლებში სულ გაიხსნა 2 ახალი, გარემონტდა 3, ხოლო იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში გადავიდა 49 ოფისი.

- მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ კორესპონდენციული სწავლების მეთოდით/და გარკვეული სპეციალობების მიმართულებით, თუმცა უმაღლესი განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რის გამოც ბენეფიციართა ნაწილმა[12] შეწყვიტა სწავლა. აღნიშნული გამოწვეულია ნორმატიული აქტით განსაზღვრული შეზღუდული სპეციალობების ჩამონათვალით, ასევე საკითხის დარეგულირებისა და მსჯავრდებულთათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციურ სამსახურსა და შესაბამის სტრუქტურებს[13] შორის არასათანადო კოორდინაციით.
- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ბიბლიოთეკები საჭიროებს როგორც სარემონტო სამუშაოებს, ასევე შესაბამისი საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურით და სხვა (განსაკუთრებით უცხოენოვანი) მასალებით შევსებას.[14]

ბენეფიციართა დასაქმების პროცესში არსებული ხარვეზები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმებაში გამოვლინდა ხარვეზები და გამოწვევები, კერძოდ:

- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა დასაქმების გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უშუალო განმახორციელებელი სპეციალისტები – სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.
- პენიტენციურ დაწესებულებებში, მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის ფარგლებში დამზადებული სხვადასხვა ტიპის ნაკეთობების რეალიზება უნდა განხორციელებულიყო ონლაინ მაღაზიის მეშვეობით, თუმცა პროდუქციის გაყიდვებთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები, რომლის დარეგულირება პენიტენციურმა სამსახურმა ვერ შეძლო. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ონლაინ/ელექტრონული მაღაზია არ ფუნქციონირებს.[15]
- 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მონაწილე ყოფილი პატიმრების **65%** ჩართული იყო სოციალური დახმარების პროგრამაში ან დაყადაღებული ჰქონდა ანგარიშები. დასაქმების შემთხვევაში კი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ბენეფიციარებს ეხსნებათ სოციალური შემწეობა. ამიტომ, უმეტესი მათგანი დასაქმებისას ან უარს აცხადებს შეთავაზებულ ვაკანსიაზე და არჩევს სოციალური დახმარების მიღებას, ან ირჩევს ისეთი ტიპის სამსახურს, სადაც ანაზღაურება არ ხორციელდება საბანკო ჩარიცხვებით. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს ყოფილ პატიმართა დასაქმებასა და, შესაბამისად, რესოციალიზაციაზე.
- ყოფილ პატიმართა და მათი ოჯახის წევრებისთვის დასაქმების მიზნით შექმნილმა საწარმომ – ა(ა)იპ – „შეცვალე სცენარი“, მომხმარებლის კლების გამო, 2019 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება. შესაბამისად, დახარჯულმა რესურსმა ვერ უზრუნველყო გათვალისწინებული შედეგის მიღება.

---

12 აუდიტის პერიოდში სწავლა შეწყვიტა სულ 34 ბენეფიციარმა, თუმცა შეწყვეტის მიზეზი, მხოლოდ სამ შემთხვევაშია იდენტიფიცირებული და მოწოდებული პენიტენციური სამსახურის მიერ (კერძოდ: უნივერსიტეტს არ ჰქონდა მზაობა ან ვერ უზრუნველყო კორესპონდენციული სწავლება), დანარჩენ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია აღურიცხველობიდან გამომდინარე.

13 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

14 ბიბლიოთეკების შესაბამისი ლიტერატურით შევსების/განახლების მიმართულებით სსიპ - მსჯაბრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ 2021 წლიდან მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობა.

15 2021 წლის მდგომარეობით მიმდინარეობს მაღაზიასა და ონლაინ მაღაზიის პლატფორმაზე მუშაობა.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა და გამოწვევების დარეგულირება მნიშვნელოვნად გაზრდის მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების მაჩვენებლებს, რაც დადებითად აისახება ბენეფიციართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე.

მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის გაუმჯობესების პოტენციალი

მსჯავრდებულთათვის არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალებები. აღნიშნული გამოწვეულია შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების ნაკლებობით. კერძოდ:

- **ვიდეოპაემნებისათვის** საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის ხელმისაწვდომი 13 დან 4[16] პენიტენციურ დაწესებულებაში.[17] ქვეყნის მასშტაბით, პრობაციის სააგენტოს 65 ოფისიდან, მხოლოდ 12-შია მოწყობილი ვიდეოპაემნის ორგანიზებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.
- **ხანგრძლივი პაემანის** სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. ხოლო სერვისის განხორციელების მიზნით, პენიტენციური სამსახურის მიერ ხორციელდება მსჯავრდებულთა გადაყვანა სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რაც დამატებით ზრდის ადამიანური და ფინანსური რესურსების საჭიროებას.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლოვანებების გავლენა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე

პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამების ან ღია დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით, უნდა მიეცეს საზოგადოებაში ეტაპობრივი რეინტეგრაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი გათავისუფლებისთვის მომზადება.

„გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“ დანერგილია მხოლოდ ნახევრად ღია ტიპის და დაბალი რისკის დაწესებულებებში. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამით სარგებლობა არ შეუძლიათ დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მომეტებულ და მაღალი რისკის მსჯავრდებულებს, რომელთაც კალენდარულად უწევთ გათავისუფლება ან შესაძლებელია ვადაზე ადრე დატოვონ საპატიმრო. დღეს მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ბენეფიციარები პროცესს მიღმა რჩებიან. 2017-2020 წლებში აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 151 ბენეფიციარი.

არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს გათავისუფლებისთვის მომზადების დროს გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებთან მიმართებით საპატიმროს დროებით დატოვების სერვისით სარგებლობის უფლებას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა მსჯავრდებულს აყენებს არჩევანის წინაშე: აღნიშნული უფლებით სარგებლობისას, დრო დაუთმოს სწავლას/

16 N2 და N18 პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები სერვისის ხელმისაწვდომობისათვის.

17 მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის ვიდეოპაემნის სერვისით უზრუნველყოფას. N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებები განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებია.

დასაქმებას, თუ ოჯახის წევრების მონახულებას. აღნიშნული კი ხელისშემშლელი ფაქტორია მსჯავრდებულის საზოგადოებაში რესოციალიზაციისთვის.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია ნორმატიული აქტ(ებ)ით არ არის დარეგულირებული.[18] შესაბამისად, არ მიმდინარეობს სრულწლოვან ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

აუდიტის პერიოდში სტრუქტურულ ერთეულებს არ ჩაუტარებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების აზრის კვლევა, მათი ჩართულობის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით.

რეკომენდაციები

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის პროდუქტიულად განხორციელებისა და ეფექტიანობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, სტრუქტურულ ერთეულებში დაინერგოს ბენეფიციართა აღრიცხვისათვის შესაბამისი გამართული პროგრამული უზრუნველყოფა და განხორციელდეს პროცესში მიწოდებულ პროგრამებსა და სერვისებში ჩართულ ბენეფიციართა სრულყოფილი რეესტრების წარმოება.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს

1. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს, დაინერგოს და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები. ამასთანავე, გაიზარდოს ძირითად პროგრამებში ჩართულობის გავლენა პირობით ვადაზე ადრე ან სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმით შეცვლის გადაწყვეტილების მიღებისას.

2. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრული და ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია:

- სტრუქტურულ ერთეულებში არსებული პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები) დეფიციტის აღმოსაფხვრელად, დამატებით შემუშავდეს და გაძლიერდეს სისტემაში დასაქმების მამოტივირებელი ფაქტორები. თავის მხრივ, აღნიშნული ხელს შეუწყობს ახალი კადრების მოზიდვას და შეაფერხებს სისტემიდან კადრების გადინების პროცესს;

18 სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს შორის კოორდინირებული მუშაობის შესახებ, შემუშავებულია შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი.

- სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი სამსახურების მიერ (პენიტენციური სამსახურის შემთხვევაში – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან კოორდინაციით) იდენტიფიცირებულ იქნეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულად განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები, დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები და ეტაპობრივად იქნეს უზრუნველყოფილი პროცესის ხელმისაწვდომობა ყველა დაწესებულებასა და პრობაციის ოფისში.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს:

მსჯავრდებულთა განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია:

- განხორციელდეს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბიბლიოთეკების განახლება, როგორც სარემონტო სამუშაოების, ასევე საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურული მასალების შევსების კუთხით.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით დამუშავდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ყველა ტიპის მსჯავრდებულს მისცემს საშუალებას მიიღოს უმაღლესი განათლება და შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების მიზნით სპეციალობათა ჩამონათვალი;
- საჯარო/კერძო პარტნიორობის გაძლიერების ფარგლებში, განათლების სამინისტროს აქტიური ჩართულობით, პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების პროცესში უნივერსიტეტების დაინტერესებისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნის ინიციირება.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს:

- მსჯავრდებულთა დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულების დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, მონაწილეობა მიიღონ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულმა სპეციალისტებმა, რათა დასაქმება პროცესში ჩართულობისთვის ერთ-ერთი სამოტივაციო ფაქტორი გახდეს.
- მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული პროდუქციის გასხვისების მიზნით, განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები და შეიქმნას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ეფექტიანი მექანიზმები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა როგორც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე, ასევე უზრუნველყოფს მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართული და ფინანსური ვალდებულებების მქონე ბენეფიციართა დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევების შესასწავლად და საკითხის დასარეგულირებლად, მნიშვნელოვანია სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატირმო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, უზრუნველყოს კოორდინირებული მუშაობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, მსჯავრდებულთა დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს:

მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია:

- შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა ყველა მსჯავრდებულს (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს) მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს ვიდეოპაემნის სერვისით.
- მნიშვნელოვანია ხანგრძლივი პაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ამასთანავე, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, განხორციელდეს არსებულის სარემონტო სამუშაოები.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს:

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია:

- გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის/სერვისების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული, შესაბამისი ექსპერტების მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციები, რომლის ძირითადი მიზანია, რომ გათავისუფლების მომზადების პროცესი შეეხოს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულს, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების საწყისი ეტაპიდან.
- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმი, რაც შესაბამისი დასაბუთების ფარგლებში, გათავისუფლებისთვის მომზადების დროს, მსჯავრდებულს საშუალებას მისცემს პენიტენციური დაწესებულების დატოვების სერვისით სარგებლობისას არ დადგეს არჩევანის წინაშე – დრო გაატაროს ოჯახის წევრებთან, მიიღოს განათლება, თუ დასაქმდეს.
- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის, გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია შემუშავდეს, პრაქტიკაში დაინერგოს და მონიტორინგი გაეწიოს პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის აქტიურ თანამშრომლობას, ვინაიდან პროცესის მიმართ ერთიანი ხედვის არსებობა და მისი კოორდინირებულად წარმართვა, მას უფრო სრულყოფილს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.
- რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა გამოწვევაში საზოგადოების საჭიროებისა და ჩართულობის მიზნით, სტრუქტურულმა ერთეულებმა დაგეგმონ და განახორციელონ შესაბამისი აქტივობები.

1. შესავალი

1.1 აუდიტის მოტივაცია

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში პატიმრების რაოდენობა მკვეთრად არის შემცირებული, თუმცა მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, პატიმრების რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით კვლავ მაღალია. აღნიშნულის შესახებ მითითებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში. მაგალითად:

ევროსაბჭოს დაკვეთით მომზადებულ ლოზანის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ანგარიშში[19] აღნიშნულია, რომ საქართველოში 2017 წლიდან 2018 წლის იანვრამდე პერიოდში ყოველ 100,000 მოსახლეზე **252 პატიმარი** იყო აღრიცხული. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, საქართველო ევროპაში პატიმრობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა დასახელებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. შესაბამისად, დამნაშავისათვის სასჯელის დაწესება მოიაზრებს რესოციალიზაციის პროცესს.

მსჯავრდებული პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია დანაშაულის განმეორებით ჩადენის/რეციდივის პრევენციისა და მსჯავრდებულის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებისთვის. ვინაიდან არარესოციალიზებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, გახშირდება დანაშაულის განმეორებით ჩადენის/რეციდივის მაჩვენებელი, რაც ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სფეროზე.

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის წარმატებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია მრავალი ფაქტორის ერთობლიობით მიიღწევა, მათ შორისაა: ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, სახელმწიფო უწყებათა ეფექტიანი ფუნქციონირება, საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და სხვ.

2006 წლის 11 იანვარს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაციები ევროპული ციხის წესების შესახებ. რეკომენდაციების მთავარი მიზანია, რომ საპატიმრო სასჯელის აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინებას, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას, იძლევა პატიმრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების საშუალებას, რითაც მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. გაეროს განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ (სახელწოდებით – „ნელსონ მანდელას წესები“) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო 2015 წლის დეკემბერში. მასში ასახულია პენიტენციური დაწესებულების ეფექტიანი მართვის, მათ შორის, პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტები.

წესის მიხედვით, პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულთა განათლება, პროფესიული სწავლება და დასაქმება, ასევე ნებისმიერი სხვა სახის დახმარება,

19 https://wp.unil.ch/space/files/2019/05/Key-Findings_SPACE-II_190520-1.pdf

რომელიც საჭიროა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისთვის.

საკითხის აქტუალურობიდან, მაღალი სოციალური მნიშვნელობიდან და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა განეხორციელებინა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტი.

1.2 აუდიტის მიზანი და მთავარი კითხვები

ეფექტიანობის აუდიტის მიზანია, შეაფასოს რამდენად უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევას, ბენეფიციართა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას და მათ საზოგადოებაში სრულფასოვან რეინტეგრაციას. ამასთანავე, შეისწავლოს სისტემაში არსებული ნაკლოვანებები და გასცეს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება აუდიტის ობიექტებს სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და დასახული ამოცანების ეფექტიან მიღწევაში.

აუდიტის მთავარი კითხვა შემდეგია:

რამდენად ეფექტიანია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობები?

მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუდიტის ქვეკითხვებად განისაზღვრა შემდეგი:

1. რამდენად პროდუქტიულად და ეფექტიანად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები და განხორციელებული ღონისძიებები ბენეფიციართა სტიგმატიზაციისა და დანაშაულის განმეორებით ჩადენის/ რეციდივის რისკების შემცირებას?
2. რამდენად არის თანხვედრაში პატიმრობაში ყოფნისა და განთავისუფლების შემდგომ პერიოდში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები?
3. რამდენად უზრუნველყოფს პროგრამების განმახორცილებელი უწყებების ქმედებები რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში საზოგადოების, საჯარო და კერძო სტრუქტურების მაქსიმალურ ჩართულობას?
4. რამდენად უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიან განხორციელებას?

1.3 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტის პერიოდი მოიცავს 2017-2020 წლებს, თუმცა ტენდენციის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა წინა და მომდევნო პერიოდის ინფორმაცია.

აუდიტის ობიექტებია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული შემდგომი ერთეულები:

1. სპეციალური პენიტენციური სამსახური.
2. სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.
3. სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურებისა, სხვადასხვა ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სხვა საჯარო უწყებებიდან.[20]

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

- სამართლებრივი ბაზის და მარეგულირებელი ნორმების ანალიზი;
- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებისა და შესრულების ანგარიშების შესწავლა და ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- აუდიტის ობიექტთან (შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან) ინტერვიუები;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული კვლევებისა და ანგარიშების ანალიზი;
- წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, სოციალური მუშაკებისა, პრობაციის ოფიცრებისა და ფსიქოლოგების გამოკითხვები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. **რამდენად პროდუქტიულად და ეფექტიანად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები და განხორციელებული ღონისძიებები ბენეფიციართა სტიგმატიზაციისა და დანაშაულის რეციდივის რისკების შემცირებას?** – აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილი პროგრამები და მათში ბენეფიციართა ჩართულობის შესაძლებლობა და მაჩვენებელი.

2. **რამდენად უკავშირდება პატიმრობაში ყოფნის პერიოდსა და განთავისუფლების შემდგომ პერიოდში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები ერთმანეთს?** – აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების კოორდინაცია, მათ მიერ დანერგილი პროგრამების და სერვისების ურთიერთკავშირი, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ისე პირობით მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა მიმართებით.

3. **რამდენად უზრუნველყოფს პროგრამების განმახორცილებელი უწყებების ქმედებები რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში საზოგადოების (მათ შორის, საჯარო და კერძო სტრუქტურების) მაქსიმალურ ჩართულობას?** – აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ

20 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, შპს „პერსპექტივა“, შპს „თოლია“, ა(ა)იპ - „შეცვალე სცენარი“.

იქნა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ საზოგადოების, საჯარო უწყებებისა და კერძო სტრუქტურების ჩართულობის მიზნით განხორციელებული აქტივობები.

4. **რამდენად უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიან განხორციელებას?** – აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის პროცესში არსებული ინფრასტრუქუტრის ანალიზი და საჭიროებები.

1.4 აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის მიმდინარეობისას, შეფასების კრიტერიუმად გამოყენებული იქნება ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს აუდიტის ობიექტების საქმიანობას, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს:

- საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ;
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანება „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 30 დეკემბრის №614/6 ერთობლივი ბრძანება „მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის N110/ნN124 ერთობლივი ბრძანება „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 მარტის N72/N30/ნ ერთობლივი ბრძანება „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესისა და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“;
- სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 4 ივლისის N85 ბრძანება „პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N33 ბრძანება „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის N39 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანება „მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“;
- გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“) − United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (“the Mandela Rules”).
- ევროპული ციხის წესები − European prison rules.

1.5 აუდიტის შეზღუდვები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანობის შეფასების მიზნით აუდიტის ჯგუფმა ვერ განახორციელა გარკვეული ანალიტიკური პროცედურები. ამასთანავე, აუდიტის მიმდინარეობისას ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ/არ განხორციელდა ბენეფიციარებთან ინტერვიუების ჩატარება და პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განსახორციელებლად, ასევე მისი ეფექტიანობის შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესაბამისი ჩანაწერების (რეესტრების) წარმოების მიზნით გამართული პროგრამული უზრუნველყოფა. **დღეის მდგომარეობით, სტრუქტურულ ერთეულებში მსჯავრდებულთა აღრიცხვისათვის არსებული პროგრამული უზრუნველყოფა არ იძლევა ბენეფიციართა შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. კერძოდ:**

პენიტენციურ სამსახურში მსჯავრდებულთა აღრიცხვა ხორციელდება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მონაცემთა ცენტრალიზებული ელექტრონული ბაზის (JMS) მეშვეობით. აღნიშნული ბაზიდან პატიმართა ერთიანი მონაცემების[21] ამოღება შესაძლებელია მხოლოდ იმ დღეს არსებული მდგომარეობით, როდესაც ხდება ინფორმაციის გადმოწერა (ექსპორტი). შესაბამისად, წინა პერიოდის მონაცემების აღდგენა საჭიროებს თითოეული ბრალდებულის და მსჯავრდებულის ინფორმაციის ინდივიდუალურად შესწავლას და ანალიზს, რაც სპეციალური აღრიცხვის თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ოდენობის ადამიანურ და დროით რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, პენიტენციური სამსახურის

21 სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სტატუსი, სასჯელის დასაწყისი, სასჯელის დასასრული, სასჯელის ზომა და ა.შ.

მიერ ვერ იქნა მოწოდებული აუდიტის პერიოდში (2017-2020 წლები) პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც დამუშავდებოდა მონაცემები და განხორციელდებოდა სხვადასხვა ანალიტიკური პროცედურები.

პირობით მსჯავრდებულთა რეგისტრაცია და საქმისწარმოება აღირიცხება პრობაციონერთა აღრიცხვის პროგრამულ ბაზაში, რომელიც შექმნილია პრობაციის ეროვნული სააგენტოს შიდა რესურსის გამოყენებით,[22] თუმცა, არც აღნიშნული ბაზა იძლევა სრულ და ზუსტ მონაცემებს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისათვის.

სტრუქტურული ერთეულებისათვის ცნობილია ბენეფიციართა აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზების შესახებ. **პენიტენციური სამსახურის** მიერ 2019 წლის დეკემბრიდან მიმდინარეობს[23] ახალი ბაზის შექმნა, რომელიც შედგება რამდენიმე მოდულისგან.[24] რაც შეეხება **სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს,** კვლევის და სერვისების დეპარტამენტის მიერ დღეის მდგომარეობით ხორციელდება საჭირო მონაცემების შეგროვება.

სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი სამსახურების მიერ ხორციელდება ბენეფიციართა (რაოდენობები) სტატისტიკური მონაცემების წარმოება, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს კონკრეტული პერიოდისათვის, ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ მხოლოდ ჯამურ მონაცემებს.[25]

პენიტენციურ სამსახურში ბენეფიციართა **რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის** აღრიცხვიანობა ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე, შესაბამისი თანამშრომლების მიერ ინდივიდუალურად, Microsoft Excel-ის პროგრამაში გაკეთებული ჩანაწერებით. მოწოდებულ რეესტრებში ასახული ინფორმაცია შეიცავდა ხარვეზებს, არ იყო სრული და ზოგიერთ შემთხვევაში სწორი. ამასთანავე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა სრული და ზუსტი ინფორმაცია ბენეფიციარებთან მიმართებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის შესახებ.[26]

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა გარკვეული ნაწილს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები (არ იძებნება პირად საქმეში). შესაბამისად, მოწოდებული ბაზებიდან[27] ვერ განხორციელდა ბენეფიციართა ნაწილის ზუსტი იდენტიფიცირება სხვადასხვა მონაცემთა ბაზებში შედარებისა და ანალიტიკური პროცედურების ჩატარების მიზნით.

---

22 ბაზის დაწერასა და შემდგომ მხარდაჭერას ახორციელებს ორი პროგრამისტი.

23 დღეის მდგომარეობით გაკეთებულია ადმინისტრაციული პანელი და სპეციალური აღრიცხვის თანამშრომლის მოდული.

24 ადმინისტრაციული პანელი, სპეციალური აღრიცხვის თანამშრომელი, რეჟიმის და უსაფრთხოების თანამშრომელი, სოციალური მუშაკი, შემთხვევის ადმინისტრატორი, ფსიქოლოგი, სამედიცინო, ვიზიტორების აპლიკაცია, ამანათების აპლიკაცია.

25 მაგალითად: კონკრეტული თარიღის მდგომარეობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ, თუმცა სახელობითი სიების და სხვა დამატებითი ინფორმაციის გარეშე.

26 მაგალითად: 2017-2018 წლებში რამდენ მსჯავრდებულთან დაიწყო სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და რა ეტაპამდე მივიდა პროცესი, თითოელ მათგანთან მიმართებით.

27 ბენეფიციართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართულობის და სხვა ბაზებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ განახორციელა აუდიტის პროცესისათვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ანალიტიკური პროცედურა სრულად და ზუსტად.[28]

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მთავარი მიზანია განმეორებითი დანაშაულის/რეციდივის შემცირება. აუდიტის ჯგუფმა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან ვერ მიიღო ინფორმაცია 2017-2020 წლებში განმეორებითი დანაშაულის/რეციდივის კვლევის შესახებ, რადგან პასუხისმგებელი პირების განმარტებით, განმეორებითი დანაშაულის, რეციდივის სტატისტიკის დათვლის მეთოდოლოგია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში შემუშავებული არ არის. აღნიშნული გარემოება ართულებს ზუსტი მონაცემების აღრიცხვის და, განსაკუთრებით, უწყებებს შორის მონაცემთა ერთიანი სტანდარტით დათვლის პროცესს.

28 მაგალითად: აუდიტის პერიოდში 2017-2020 წლებში დროის სხვადასხვა პერიოდში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულ ბენეფიციართა შედარება პენიტენციურ დაწესებულებებში სულ განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობასთან.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 აუდიტის სფეროს ზოგადი დახასიათება

საქართველოში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს[29] სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა[30] და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული რამდენიმე სტრუქტურული ერთეული ახორციელებდა.[31]

2019 წელს, რეორგანიზაციის შედეგად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შეიქმნა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულია და პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ყველა ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი დაექვემდებარა მას. რეორგანიზაციამდე არსებული სტრუქტურით სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები დაწესებულების დირექტორს ექვემდებარებოდნენ.

იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით,[32] სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი გაერთიანდა. შედეგად, **შეიქმნა სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.** საქმიანობის ძირითად მიზნად განისაზღვრა მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის საშუალებით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭირო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მეშვეობით.

სქემა N1. ინფორმაცია 2017-2020 წლებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების შესახებ



29 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან მიმართებით წლების განმავლობაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის მიწოდება, თუმცა უშუალოდ რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია შესაბამისი ნორმატიული აქტით განისაზღვრა 2012 წლიდან. პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით აღნიშნული პროცესი დაიწყო 2009 წლიდან, ხოლო ყოფილ პატიმრებთან მიმართებით - 2012 წელს.

30 შემდგომში - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

31 პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

32 იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N485 ბრძანება.

ზემოაღნიშნული უწყებების მიერ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით დანერგილია შემდეგი პროგრამები და სერვისები:

- ფსიქო-სოციალური და პროსოციალური პროგრამები;
- დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული და დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული პროგრამები;
- საბაზისო კლინიკური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები;
- დამოკიდებულების დაძლევის პროგრამები;
- რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროგრამები;
- საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები;
- დასაქმების/შრომის ხელშეწყობის პროგრამები;
- სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამები/სერვისები;
- სხვადასხვა სერვისი და პროგრამა.[33]

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში დანერგილი პროგრამებისა და სერვისების გარკვეული ნაწილი შემუშავებულია უშუალოდ სისტემაში დასაქმებული სპეციალისტების (სოციალური მუშაკების/ფსიქოლოგების) მიერ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ხოლო ნაწილი, პარტნიორ საერთაშორისო/ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.[34] აუდიტის ფარგლებში განხორციელდა კომუნიკაცია პარტნიორი ორგანიზაციების ნაწილთან, ინფორმაციისა და შესაბამისი მასალების გაცნობის მიზნით.

სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს[35] რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები, კერძოდ: სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტის შემუშავება,[36] პრობაციის ოფიცერთა ეთიკის კოდექსის შემუშავება. მიმდინარეობს ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა შემთხვევის მართვისთვის ინფორმაციის დამუშავების, უსაფრთხოდ შენახვის და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უკეთ დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. 2021 წელს პრობაციის სააგენტოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს დაემატა 17 სოციალური მუშაკი, 7 ფსიქოლოგი, 2 ჯგუფის უფროსი და 22 პრობაციის ოფიცერი; პრობაციის სააგენტოში ამერიკის საელჩოს INL მხარდაჭერით პრობაციის და პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისთვის და ფსიქოლოგებისთვის შეიქმნა და დაინერგა 4 ახალი სარეაბილიტაციო პროგრამა.[37]

---

33 მაგალითად: იურიდიული დახმარება, არასრულწლოვან ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუ (სვირინგი) მოშორების პროექტი, ყოფილ პატიმართა თავშესაფრით უზრუნველყოფა, ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები, ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა, ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრთან მუშაობა და სხვ.

34 ევროკავშირი საქართველოსთვის (EU4Justice); ევროპის საბჭო (CEO); გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF); აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურო (INL); გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG; EU-ACT: EU Action against Drugs and Organised Crime; ჰოლანდიის საელჩო და ა.შ.

35 აუდიტორული პროცედურების დასრულების შემდგომ

36 იუსტიციის მინისტრის ბრძანება №715 „სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტების, სოციალური მუშაკის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესის დამტკიცების შესახებ“;

37 „დანაშაულის გააზრების პროგრამა“; „სოციალური და კოგნიტური უნარების სასწავლო პროგრამა“; „ემოციების რეგულაცია“; „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“. აღნიშნული მიმართულებით განხორიელდა სოც. მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება.

სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს სააგენტოს ინიციატივით განახლდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამა. ასევე, ევროკომისიის პროექტის მხარდაჭერით, პრობაციის და პენიტენციური სამსახურის ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების ჩართულობით, შეიქმნა და დაინერგა ხანგრძლივი ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის პროგრამა, რომელიც განკუთვნილია როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ასევე პრობაციის სააგენტოს მსჯავრდებულებისთვის. სხვადასხვა საერთაშორისო, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, ასევე ბენეფიციარებისთვის განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები.[38]

2.2 მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის დაფინანსების სისტემა

2017-2020 წლებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი ფინანსდებოდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და მათ დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საბიუჯეტო ასიგნებებისა და საკუთარი სახსრებიდან.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ქვეპროგრამად გამოყოფილი ჰქონდა[39] სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრს, ხოლო სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გაწერილი აქვს ცალკე ღონისძიებად, რომელიც მოიცავს სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ მსჯავრდებულთა ხელფასებს და პროცესთან მიმართებით განხორციელებულ შესყიდვებს. შესაბამისად, გაწეული ხარჯებიც ამ მიმართულებით იქნა მოწოდებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში გაწეული ხარჯების დაანგარიშების მიზნით, აუდიტის ჯგუფის მიერ სტრუქტურული ერთეულებიდან დამატებით განხორციელდა იმ თანხების გამოთხოვა, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა პროცესთან. კერძოდ: სტრუქტურულ ერთეულებში უშუალოდ პროცესის განმახორციელებელი სამმართველოების და დეპარტამენტის თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი და სოციალურად დაუცველ მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის საფასური.

---

38 სამინისტროს განმარტებით, სააგენტოში 2021 წლის ბოლოს, საქველმოქმედო პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა საბაზისო საჭიროებების შემცირებას და ამ გზით მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობას; 2021 წელს ასევე დაიწყო პროექტის „მოხალისე პედაგოგი“ ახალი ეტაპი. პროექტი ემსახურება სააგენტოს ბენეფიციართა განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას. 2021 წლის მეორე ნახევარში, „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“-მ გაიმარჯვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში პროექტით „ერთად ერთმანეთისთვის“, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთა, პირობით მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას, სახელობო გადამზადებას, დასაქმებისა და მათი ოჯახების გაძლიერების გზით.

39 2020 წლამდე სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ასიგნებების ფარგლებში ყოფილი პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან მიმათებით ცალკე ქვეპროგრამა იყო გამოყოფილი. ხოლო, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთან გაერთიანების შემდგომ, 2020 წლიდან უკვე ქვეპროგრამები ითვალისწინებს როგორც ყოფილ პატიმართა, ასევე პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

ცხრილი N1. ინფორმაცია 2017-2020 წლებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში (შესაბამისი პროგრამული კოდი) სულ ხარჯებისა და მათ შორის, პროცესთან პირდაპირ დაკავშირებული თანხების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	პენიტენციური სამსახური[40]		სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო		სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი		სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	
წელი	სულ ხარჯი	პროცესთან დაკავშირებული ხარჯი	სულ ხარჯი	პროცესთან დაკავშირებული ხარჯი	სულ ხარჯი	პროცესთან დაკავშირებული ხარჯი	სულ ხარჯი	პროცესთან დაკავშირებული ხარჯი
2017	135,655.2	3,405.5	6,101.4	2,214.0	1,242.2	204.6	-	-
2018	143,045.6	3,251.2	5,389.8	1,999.8	1,440.2	234.4	-	-
2019	143,706.0	3,051.4	-	-	-	-	5,846.0	1,979.7
2020	147,712.0	2,654.7	-	-	-	-	7,504.7	2,406.8
სულ:	570,118.8	12,362.8	11,491.2	4,213.8	2,682.4	439.0	13,350.7	4,386.5
პროცენტი %	2.2		36.7		16.4		32.8	

გარდა საბიუჯეტო ასიგნებებისა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის ხარჯები გაწეულია სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლებისა და გრანტებიდან. კერძოდ:

ცხრილი N2. ინფორმაცია 2017-2020 წლებში სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლების და ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)

წელი	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	სულ შემოსავლები	სულ ხარჯები	პროცესთან მიმართებით იდენტიფიცირებული ხარჯები	პროცენტი %
2017	1,361.5	2,504.0	2,646.4	525.3	19.8
2018	1,219.1	2,221.7	2,105.7	744.7	35.4
2019	1,278.1	1,574.4	2,708.9	672.5	24.8
2020	88.5	1,730.5	1,377.2	8.4	0.6
სულ:		8,030.6	8,838.1	1,950.9	22.1

ცხრილში მითითებული სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან 1,950.9 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გაწეულია შემდეგი მიზნობრიობით: რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოს (შემდგომში – დეპარტამენტი) თანამშრომელთა და პრობაციის ოფიცერთა თანამდებობრივი სარგო, პრემია/ჯილდო, სოციალური დახმარება და მივლინება ქვეყნის შიგნით.

40 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის საბუჯეტო სახსრები გაიწეოდა „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების“ პროგრამული კოდიდან (27 01), ხოლო 2019 წლიდან - კოდიდან (26 02).

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში გარდა უშუალოდ განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებისა, ასევე ჩართული იყვნენ სხვა სახელმწიფო უწყებები,[41] რომელთა საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 2017-2020 წლებში პროცესის განხორციელებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 4,242.8 ათასი ლარი.

2017-2020 წლებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს და მათ მიერ დაფუძნებული შპს-ებისა და ა(ა)იპ-სთვის, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა ერთეულებისგან და საერთაშორისო ორგანიზაციისგან გრანტის, ტრანსფერების და სუბსიდიების სახით მიღებული აქვს, სულ: 299.0 ათასი ლარი.

ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისთვის გაცემულია გრანტები სამ არასამეწარმეო იურიდიული პირზე,[42] ჯამში: 367.5 ათასი ლარის ოდენობით.

2017-2020 წლებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულმა თანხამ **სულ შეადგინა 28,152.9 ათასი ლარი.**

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე გაწეული ხარჯების და გრანტების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იხ. დანართი N1-ში.

41 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განსაზღვრული იყო ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობისა და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამების დაფინანსება; სსიპ - მსჯავრდებულთა მომზადების და გადამზადების ცენტრი.

42 ააიპ – სამოქალაქო განვითარების სააგენტო - ყოფილ პატიმართა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; ააიპ - ჯანმრთელობის კვლევის კავშირი - საგანმანათლებლო სესიები ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების და ზიანის შესახებ; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ - ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა და ყოფილ პატიმართათვის, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთათვის, N2 და N11 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრუწლოვან მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება.

3. აუდიტის მიგნებები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები

3.1 სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაკლოვანებები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამოუკიდებლად და ერთიანი ხედვით განსაზღვრავს აღნიშნული მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, 2017-2018 წლებში შესაბამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს **ინდივიდუალურად** შემუშავებული არ ჰქონდათ და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ერთეულის და სამუშაო ჯგუფის განსხვავებული ტიპის დოკუმენტებში.[43] ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, იყო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის[44] ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მიმართულებით შესაბამისი პროგრამები და ქვეპროგრამები. ამავე დროს, სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები ზოგად ხასიათს ატარებდა და დეტალურად არ იყო გაწერილი კონკრეტულ წელს მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ განხორციელდა გეგმით დასახული **სხვადასხვა** მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების ზუსტი და სრული შეფასება.

ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ანალიზის შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლინდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი პროგრამა და ქვეპროგამა, რომლითაც დასახული მიზნები ვერ იქნა მიღწეული. კერძოდ:

---

43 საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ყოველწლიური სამოქმედო გეგმები; იუსტიციის სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა; საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია; ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტები; 2017-2020 წლების სამთავრობო პროგრამები;

44 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით და მის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები. საბჭოს ამოცანას წარმოადგენს რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და მონიტორინგი.

ცხრილი N3. ინფორმაცია 2017-2020 წლების სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ძირითადი მიზნებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელიც აუდიტის ჯგუფის შეფასებით, უკავშირდება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი მიზნები	შესრულების მდგომარეობა
პატიმრობის პირობების გაუმჯობესება: **რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.** არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ.) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.	**ნაწილობრივ შესრულებული**
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, დანერგვა და მათი პერიოდული გადამზადება.	**ნაწილობრივ შესრულებული**
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული თანამშრომლობა და ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის შემუშავება/დანერგვა.	**შეუსრულებელი**
რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის **(ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება)** დანერგვა და განვითარება **რისკჯგუფების** იდენტიფიცირებისთვის (შემთხვევის მართვა), აგრეთვე ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა.	**ნაწილობრივ შესრულებული**
მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გამოყენების მექანიზმების დახვეწა/იმპლემენტაცია.	**ნაწილობრივ შესრულებული**
ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა **რისკჯგუფების** და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის	**შეუსრულებელი**
კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა).	**შეუსრულებელი**
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების ამოქმედება, მსჯავრდებულთა შრომის შესაძლებლობის გაზრდისათვის საწარმოო ზონებისა და მინი დასაქმების კერების შექმნა დაწესებულებების ტერიტორიაზე, მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებით, პენიტენციურ დაწესებულებებში პროფესიული/სახელობო და განათლების (სატრენინგო/საგანმანათლებლო) მიღების შესაძლებლობა.	**ნაწილობრივ შესრულებული**
საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება) და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე, საზოგადოებრივი აზრის კვლევა.	**შეუსრულებელი**

საქართველოს იუსტიციის და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროების გაერთიანების შემდგომ, 2019 წელს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[45] დამტკიცდა „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“. გეგმით გათვალისწინებული იყო 7 ძირითადი მიზანი,[46] რომლის მისაღწევად საჭირო 66 აქტივობა და შესაბამისი 191 ინდიკატორი. **მათ შორის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით განსაზღვრული იყო 1 ძირითადი მიზანი:**

45 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანება.

46 იხ. დანართი N2.

მიზანი B	პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განხორციელების გზით განმეორებითი დანაშაულის შემცირება და შედეგად დანაშაულის პრევენცია

მიზნის მისაღწევად იდენტიფიცირებული იყო 13 აქტივობა და 37 ინდიკატორი.[47]

დიაგრამა N1. ინფორმაცია გეგმით გათვალისწინებული მიზნების და შესაბამისი ინდიკატორების შესრულების მდგომარეობის შესახებ



აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამოქმედო გეგმაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობები (მიზანი B). როგორც დიაგრამა N1-დან ჩანს, სამოქმედო გეგმაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული აქტივობებიდან შესრულებულია **57%,** მიმდინარე **38%** და არ დაწყებულა **5%.**[48] ანალიზის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ გარკვეული დასრულებული სტატუსის მქონე ინდიკატორები ნაცვლად 2019 წლისა, დასრულდა 2020 წელს. მაგალითად, გეგმაში ერთ-ერთი ინდიკატორად მითითებული იყო – „2019 წლის დეკემბრისათვის პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის შექმნილია სამართლებრივი ჩარჩო“. გეგმის შესრულების ანგარიშში **აღნიშნულ ინდიკატორს მინიჭებული აქვს დასრულებულის სტატუსი, ხოლო შესრულებაში შესაბამის დოკუმენტად მითითებულია 2020 წლის 12 მარტს დამტკიცებული N502 ბრძანება.**[49]

იუსტიციის სამინისტროს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშში აქტივობების შეუსრულებელი ნაწილის ძირითად მიზეზად მითითებულია პანდემია და აქტივობების ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულება. კერძოდ, ერთი აქტივობის დროში გაჭიანურების გამო ვერ დაიწყო სხვა აქტივობების განხორციელება.[50]

დასკვნა

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამოუკიდებლად და ერთიანი ხედვით განსაზღვრავს აღნიშნული მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, 2017-2018 წლებში შესაბამის

47 იხ. დანართი N2, ცხრილი N1.

48 დეტალურად იხ. დანართი N2, ცხრილი N1.

49 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) შესახებ“.

50 დეტალურად იხ. დანართი N2, ცხრილი N1.

განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს **ინდივიდუალურად** შემუშავებული არ ჰქონდათ და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ერთეულის და სამუშაო ჯგუფის განსხვავებული ტიპის დოკუმენტებში. გეგმებში მითითებული აქტივობები მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი შეფერხებებით, ხოლო გარკვეული ნაწილი საერთოდ არ დაწყებულა. 2018 წელს დამტკიცდა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც უშუალოდ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით გათვალისწინებულ მიზანთან დაკავშირებით დაგეგმილი 13 აქტივობიდან და შესაბამისი 37 ინდიკატორიდან, დასრულებულია 57%, მიმდინარეა – 38%, ხოლო არ დაწყებულა – 5%. აქტივობების შეუსრულებელი ნაწილის ძირითად მიზეზად მითითებულია პანდემია და აქტივობების ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულება. ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიან განხორციელებაზე.

3.2 სერვისებსა და ღონისძიებებში ბენეფიციართა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებსა და სერვისებში ჩართულობა არის ნებაყოფლობითი. გამონაკლისია, მხოლოდ პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით არსებული შემთხვევები, როდესაც მოსამართლის ან მულტიდისციპლინარული გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია ბენეფიციარს განესაზღვროს გარკვეულ პროგრამებში სავალდებულო ჩართულობა.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმახორციელებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული და დანერგილია შემდეგი სერვისები და ღონისძიებები:

სქემა N2. ინფორმაცია სტურქტურული ერთეულების მიერ დანერგილი პროგრამების/სერვისების შესახებ

პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ	სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ
• ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები • ფსიქო-სოციალური ტრენინგები • ზოგადი/უმაღლესი განათლება • ფორმალური/არაფორმალური განათლება • საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები • კულტურული/სპორტული ღონისძიებები • სხვა ღონისძიებები (რეკრეაცია) • დასაქმება/შრომა	**სავალდებულო** • ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია • დამოკიდებულებების დაძლევა • პროსოციალური ქცევის ფორმირება **ნებაყოფლობითი** • განათლება • დასაქმება • ჯანმრთელობა/გაჯანსაღება	• არაფორმალური განათლება • დასაქმების ხელშეწყობა • იურიდიული მომსახურება • პროფესიული გადამზადება • სამედიცინო მომსახურება • სოციალური მომსახურება • სპორტულ - კულტურული აქტივობები • ფსიქოლოგიური მომსახურება

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა 2017-2020 წლებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის მაჩვენებლები.

ცხრილი N4. ინფორმაცია 2017-2020 წლებში პენიტენციურ დაწესებულებებში დროის სხვადასხვა მონაკვეთში მყოფი მსჯავრდებულების და მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისებში/ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ წლების მიხედვით

დასახელება	2017	2018	2019	2020
პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა	-	-	11,956	11,355
სულ სერვისებში/პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	1,627	2,011	1,415	768
ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი	-	-	12%	7%

შენიშვნა: ცხრილში მსჯავრდებულთა რაოდენობები სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებია, ხოლო 2017-2018 წლების მონაცემები სამმართველოს მიერ ვერ იქნა მოწოდებული, რადგან აღნიშნულ წლებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები აღირიცხებოდნენ ერთად. *(იხ. აუდიტის შეზღუდვების თავი)*

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები 2017-2020 წლებში ჩართული იყვნენ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებულ სხვადასხვა პროგრამასა და სერვისში. კერძოდ:

ცხრილი N5. ინფორმაცია 2017-2020 წლებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის შესახებ პროგრამების მიხედვით

სერვისის/ღონისძიების დასახელება	2017	2018	2019	2020
ბენეფიციართა ჩართულობა ძირითადი პროგრამების/სერვისების მიხედვით[51] სულ:	**3,431**	**3,414**	**2,475**	**451**
მათ შორის:				
ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები	719	1,307	408	146
ფსიქო-სოციალური ტრენინგები	1,044	766	830	23
ზოგადი განათლება[52]	74	101	91	119
უმაღლესი განათლება	29	35	54	66
ფორმალური/არაფორმალური პროფესიული განათლება	695	725	563	3
საგანმანათლებლო ტრენინგპროგრამები	870	480	529	94
ბენეფიციართა ჩართულობა დამხმარე პროგრამების/სერვისების მიხედვით,[53] სულ:	**2,963**	**3,198**	**1,511**	**1,306**
მათ შორის:				
კულტურული ღონისძიება[54]	2,440	1,816	864	413
სპორტული ღონისძიება[55]	385	571	358	486
სხვა ღონისძიებები[56]	138	811	289	407

შენიშვნა: ცხრილში მითითებული მონაცემები მიუთითებს ერთი ბენეფიციარის რამდენიმე პროგრამაში ჩართულობას.

51 მონაცემებში ასახული მაჩვენებლები მოიცავს ერთი ბენეფიციარის რამდენიმე პროგრამა/სერვისში ჩართულობას.

52 მონაცემები მოიცავს როგორც მსჯავრდებულებს, ასევე ბრალდებულებს, რადგან გამიჯვნა ობიექტმა ვერ განახორციელა.

53 მონაცემებში ასახული მაჩვენებლები აღნიშნავს ერთი ბენეფიციარის რამდენიმე პროგრამაში/სერვისში ჩართულობას.

54 ფილმის ჩვენება; სხვა კულტურული ღონისძიებები; რა? სად? როდის?; პოეზიის საღამო; თეატრალური დასი; ნიგერიული ხმები; კონცერტი; „მკითხველთა კლუბი"; წიგნი და მკითხველი; ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი; „ეტალონი" და სხვ.

55 მაგიდის ჩოგბურთი; სუდოკუს ტურნირი; ჭადრაკის ტურნირი; შაშის ტურნირი; ჭადრაკის წრე; შაშის წრე; ფეხბურთის მატჩი.

56 გალობა (რეკრეაცია); ქარგვა (რეკრეაცია); ხეზე კვეთა (რეკრეაცია); ხატწერა (რეკრეაცია); სასკოლო ოლიმპიადა.

პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილი პროგრამები/სერვისები იყოფა როგორც **სავალდებულო,** ასევე – **ნებაყოფლობით** კომპონენტებად.

ცხრილი N6. ინფორმაცია 2017-2020 წლებში დროის სხვადასხვა მონაკვეთში პირობითი მსჯავრის მქონე ბენეფიციართა და მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებსა და სერვისებში ჩართულობის შესახებ

დასახელება	2017		2018		2019		2020
	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	716	19	982	10	731	8	159
პროსოციალური ქცევის ფორმირება	162	11	130	2	65	4	101
საინფორმაციო ხასიათის ტრენინგები	39	-	64	2	37	4	23
განათლება	-	356	-	179	-	32	5
დასაქმება	-	108	-	73	-	56	2
სულ:	**917**	**494**	**1,176**	**266**	**833**	**104**	**290**
ბენეფიციართა რაოდენობა	**26,507**		**29,712**		**27,836**		**27,865**
ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი	**5.3%**		**4.8%**		**3.4%**		**1.1%**

შენიშვნა: 1. ბენეფიციართა რაოდენობა წლის ბოლო რიცხვში არსებული და მომდევნო წელს დამატებული ბენეფიციარების ჯამია.

2. 2020 წელს ბენეფიციართა სავალდებულო და ნებაყოფლობით პროგრამებში ჩართულობის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი გამიჯნულად, რადგან ცალ-ცალკე არ აღირიცხება.

ყოფილ პატიმრებთან მიმართებით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული სერვისებით და პროგრამებით სარგებლობა ხელმისაწვდომია მათი ოჯახის წევრებისთვისაც. 2017-2020 წლებში, პროგრამაში ჩართულობის შესახებ მომართვა განახორციელა სულ **1,523** ბენეფიციარმა.

ცხრილი N7. ინფორმაცია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისებში/ღონისძიებებში ყოფილ პატიმართა ჩართულობის შესახებ წლების მიხედვით

მომსახურების კატეგორი	2017		2018		2019		2020
	ყოფილი პატიმარი	ოჯახის წევრი	ყოფილი პატიმარი	ოჯახის წევრი	ყოფილი პატიმარი	ოჯახის წევრი	
არაფორმალური განათლება	188	16	148	-	51	2	**0**
დასაქმების ხელშეწყობა	150	1	65	5	51	1	**7**
თავშესაფრით უზრუნველყოფა	1	-	2	-	-	-	**0**
იურიდიული მომსახურება	105	1	78	-	47	1	**12**
პროფესიული გადამზადება	71	17	41	9	2	5	**0**
სამედიცინო მომსახურება	112	4	77	5	26	-	**9**
სოციალური მომსახურება	166	-	168	2	47	1	**74**
სპორტულ-კულტურული აქტივობები	47	43	26	36	26	15	**0**
ფსიქოლოგიური მომსახურება	52	2	57	3	15	3	**1**
სულ:	892	84	662	60	265	28	103

შენიშვნა: ცხრილში მითითებულია პროგრამებში ჩართულთა მონაცემები, ასევე მოიცავს იმ ბენეფიციარებს, რომლებმაც მომართვა განახორციელეს 2017 წლამდე.

ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია. კერძოდ: პენიტენციური სამსახურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2019-2020 წლებში პენიტენციური დაწესებულება დატოვა 7,879 მსჯავრდებულმა, ხოლო ყოფილი პატიმრის სტატუსით პროცესში ჩაერთო 358 ბენეფიციარი (4.5%).

ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო უშუალოდ ბენეფიციარებისგან აეღოთ ინტერვიუები. შესაბამისად, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და პრობაციის ოფიცრებისგან კითხვარების საშუალებით იქნა მიღებული ინფორმაცია ჩართულობის დაბალი მაჩვენებლების მიზეზებთან დაკავშირებით.

გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროცესში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი დაწესებულებებში განთავსებულ ბენეფიციართა გარკვეული ნაწილის პროცესში ჩართულობასთან მიმართებით უარყოფითი დამოკიდებულებაა, ხოლო მეორე ძირითადი მიზეზია ბენეფიციარებისთვის მამოტივირებელი ფაქტორების (ინსენტივების) ნაკლებობა. გამოკითხული სპეციალისტები ადასტურებენ, რომ ბენეფიციართა უმეტესობა ინტერესდება, რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს მათთვის პროცესში ჩართულობამ, ექნებათ თუ არა რაიმე სახის უპირატესობები და **იმოქმედებს თუ არა აღნიშნული პროცესი სასჯელის შემსუბუქებაზე.**

პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ ხორციელდება მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად,[57] გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს მიერ ხორციელდება მსჯავრდებულის შეფასება, სხვადასხვა შეფასების კრიტერიუმებით,[58] მათ შორის, ყურადღება ექცევა მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს. კერძოდ: მის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაციას, სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ.[59]

აუდიტის ჯგუფისათვის მოწოდებული ინფორმაციით, 2017-2020 წლებში პენიტენციური დაწესებულებებიდან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა ან სასჯელი შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი ფორმით, სულ – 4,866 ბენეფიციარს, საიდანაც მხოლოდ 20% იყო ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ ძირითად პროგრამებში,[60] რაც ვერ ჩაითვლება მაღალ მაჩვენებლად და შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბენეფიციართა პროცესში ჩართულობის მოტივაციაზე.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობასთან მიმართებით, სამინისტროში რაიმე სახის წამახალისებელი ღონისძიებები დღეის მდგომარეობით არ არის

---

57 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.

58 ჩადენილი დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლება; ოჯახური პირობები.

59 სპეციალური შევსებული ფორმით, სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად საბჭოს მიეწოდება სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის (საჭიროების შემთხვევაში) ანგარიში, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობის შესახებ.

60ანალიტიკური პროცედურები განხორციელდა მხოლოდ 3,866 ბენეფიციარის მიმართ, რადგან დანარჩენების ზუსტი იდენტიფიცირება და შედარება ვერ მოხერხდა პირადობის მოწმობის, პირადი ნომრის არქონის გამო. (იხ. წინამდებარე ანგარიშის თავი: აუდიტის შეზღუდვები).

დანერგილი. აღნიშნული კუთხით ამჟამად მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები. კერძოდ: ევროკავშირის ტექნიკური მხარდამჭერი პროექტის და INL-ის მხარდაჭერით იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია „წახალისების რეჟიმებისა და პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრის კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულთა წახალისების სისტემის თანამედროვე მოდელებს.[61]

2021 წელს პენიტენციურ სამსახურში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ზემოაღნიშნული სისტემის შესაბამისად შექმნას ისეთი მოდელი, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ კულტურულ და ისტორიულ გარემოზე.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ გარდა ზემოთ წარმოდგენილი ფაქტორებისა, ბენეფიციართა დაბალი ჩართულობის მიზეზი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვისა და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში არსებული ნაკლოვანებებია, რომლებიც, თავის მხრივ, გამოწვეულია სპეციალისტებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობით[62] და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროცესის სრულ და ეფექტიან განხორციელებაზე. აღნიშნული საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავებში: 3.2.1; 3.2.2; 3.2.3.

3.2.1 პროცესის განხორციელების ნაკლოვანებები

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, არის რეციდივის შემცირება და, შესაბამისად, საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან.[63] აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ქმედებებით:

- პენიტენციურ დაწესებულებაში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს განთავისუფლების შემდეგ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას;
- შესაბამისმა პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრების საჭიროებებზე მორგებული განათლების მიწოდება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეობები;
- სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება აგებული უნდა იყოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე და ასეთი სახის გეგმები უნდა მოიცავდეს: მსჯავრდებულთა დასაქმებას, განათლებას და გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს.[64]
- საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან განთავისუფლებისას. მნიშვნელოვანი პროცესები იწყება გათავისუფლების შემდგომ.

---

61 ირლანდიურ და ამერიკის შეერთებული შტატების მოდელებს.

62 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების სერვისები არ არის დანერგილი ყველა დაწესებულებასა და ბიუროში. საკითხები დეტალურადაა განხილული შესაბამის თავებში/ქვეთავებში.

63 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“).

64 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

- **პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთათვის,** როგორც სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის (შემთხვევის მართვა) ნაწილში, ისე უშუალოდ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებში/სერვისებში ჩართვა ნებაყოფლობითია.
- **პირობით მსჯავრდებულთათვის** სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა) – სავალდებულოა ყველა ბენეფიციარისთვის, ხოლო უშუალოდ პროგრამებში ჩართულობა – როგორც ნებაყოფლობითი, ასევე სავალდებულო ხასიათისაა.

საქართველოში მსჯავრდებულთა[65] პენიტენციურ დაწესებულებებში გადანაწილება ხორციელდება საშიშროების რისკის შეფასების საფუძველზე. რომელსაც ახორციელებს გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი გუნდი, მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.[66] შეფასების შედეგების მიხედვით, მსჯავრდებულები გადანაწილდებიან შესაბამისი ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში. კერძოდ:

სქემა N3. ინფორმაცია საშიშროების რისკის შესაბამისად პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა გადანაწილების შესახებ



საქართველოში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

65 გარდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებისა.

66 იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“.

სქემა N4. ინფორმაცია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა შემთხვევის მართვის სრული ციკლის შესახებ



გარდა ზემოაღნიშნულისა, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის დანერგილია **გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამების** და **გარდამავალი მენეჯმენტის** პროცესი და ეტაპები.

ყოფილ პატიმრებთან მიმართებით აღნიშნული ციკლი იდენტურია, თუმცა საქმის დახურვის შემდგომ, ახალი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამებით და სერვისებით ხელმეორედ სარგებლობა.

რისკისა და საჭიროების შეფასება

სასჯელის მოხდის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება[67] და, შესაბამისად, ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა) რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის საწყისი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

რისკისა და საჭიროების შეფასების პროცესი მოიცავს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის დადგენას (სკრინიგი),[68] რის შედეგადაც განისაზღვრება მსჯავრდებულთან მომუშავე სპეციალისტი.

რისკისა და საჭიროების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში საქმეს მართავს პენიტენციურ **დაწესებულებაში მყოფ** მსჯავრდებულებთან მიმართებით – შემთხვევის ადმინისტრატორი, ხოლო **პირობით მსჯავრდებულებთან** მიმართებით – პრობაციის ოფიცრები. რაც შეეხება საშუალო და მაღალი მაჩვენებლის შემთხვევას – სოციალური მუშაკი[69] და ფსიქოლოგი.

67 მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასება.

68 მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგდოკუმენტს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთათვის ავსებს სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი), რომელიც ინფორმაციას იღებს სუიციდის პრევენციის კოორდინატორისგან (ექიმი, ფსიქოლოგი), სტატიკურ ნაწილს ავსებს სპეციალური აღრიცხვის სამმართველო, ხოლო ქცევის შეფასების ფორმას - სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელი. პრობაციის ბიუროში კი მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის დოკუმენტს და რისკისა და საჭიროების ფორმის სტატიკურ ნაწილს ავსებს პრობაციის ოფიცერი.

69 პენიტენიცურ სამსახურში - შემთხვევის მმართველი.

სქემა N5. ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა შეფასების შედეგების მიხედვით სპეციალისტთან გადამისამართების შესახებ



შესაბამისი სპეციალისტის მიერ მსჯავრდებულის შეფასების შემდგომ, საჭიროებისას, მსჯავრდებულის შემთხვევის მართვა იგეგმება და ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სპეციალისტები.[70]

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა)

მსჯავრდებულისათვის რისკისა და საჭიროების შეფასების შემდგომ ხორციელდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა).

მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (შემთხვევის მართვა) არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც **შესაბამისი სპეციალისტები** ახორციელებენ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმვას რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით და მოიცავს გაწერილ ეტაპებს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესს (შემთხვევის მართვა) სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გააჩნია და აღნიშნულ პროცესში ბენეფიციარების ჩართულობა დაბალია. კერძოდ:

1. საქართველოს სასჯელაღსრულების მინისტრის ბრძანებით,[71] საქართველოში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით 2015 წელს დაიწყო, რომელიც თავდაპირველად უნდა დანერგილიყო

70 პენიტენციური დაწესებულების შემდეგი შემადგენლობით: სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი), შემთხვევის ადმინისტრატორი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე და, საჭიროებისამებრ, ფსიქოლოგი, ხოლო პრობაციის სააგენტოში - პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

71 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N33 ბრძანება „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

სამ პენიტენციურ დაწესებულებაში,[72] ხოლო დანარჩენში ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო **2017 წლის 31 დეკემბრამდე.**

ბრძანებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, პერიოდულად მიმდინარეობდა პროცესის განმახორციელებელი შესაბამისი სპეციალისტების (სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლების) მომზადება და გადამზადება.[73]

მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლის მდგომარეობით აღნიშნული პროცესი დაწყებული იყო სულ 13 დაწესებულებაში, თუმცა არასათანადო აღრიცხვიდან გამომდინარე, რამდენ მსჯავრდებულთან[74] მიმართებით და რა ეტაპამდე მივიდა პროცესი თითოეულ მათგანთან, აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა მოწოდებული.

პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი რაოდენობის და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ნაკლებობის, ასევე ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, პროცესმა მდგრადობა ვერ შეინარჩუნა და შეწყდა (გარდა N5 და N16 დაწესებულებებისა), შესაბამისად, დასახული მიზნები ვერ იქნა მიღწეული.

2. 2015 წელს დამტკიცდა სრულწლოვან **პირობით ვადამდე გათავისუფლებულ** მსჯავრდებულთა და სრულწლოვან **პირობით მსჯავრდებულთათვის** რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების დანერგვის პროცესი.[75] ბრძანების მიხედვით, პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდებოდა სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები, მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას უზუნველყოფდა პრობაციის ოფიცერი. ამ შემთხვევაში პრობაციის ოფიცერს ევალებოდა, რომ მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეევსო.[76] შესაბამისად, ბრძანების მიხედვით, ბენეფიციართა ნაწილი არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ სხვა ბენეფიციარებთან შედარებით.

3. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, 2017-2019 წლებში, იმ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არსებულ პრობაციის ოფისებსა და ბიუროებში არ იყო სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, სპეციალისტების ინტერვენცია ხორციელდებოდა მხოლოდ კრიზისული შემთხვევებისას.[77]

---

72 N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულება; N6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის დაწესებულება; N16 დაბალი რისკის დაწესებულება.

73 ტრენინგები პროგრამის სპეციფიკაციებში მომზადებასათან ერთად, ასევე მიმართული იყო სოციალური მუშაკების კომპეტენციების ასამაღლებლად, რადგან აღნიშნული პერიოდისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნდა სოციალური მუშაობის მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაცია.

74 აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო რეესტრიდან მოწოდებული რაოდენობრივი მაჩვენებლის დაანგარიშება, რადგან რეესტრში სხვადასხვა დაწესებულებებიდან წარმოდგენილი მონაცემების რაოდენობა მითითებულია ჯამურად და დაახლოებითი მაჩვენებლით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, რეესტრში მითითებულია ბენეფიციარის მხოლოდ სახელი და გვარი, რომლებიც მეორდება და არ შეიცავს მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.

75 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის N39 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“.

76 კომპეტენციიდან გამომდინარე.

77 თვითდაზიანების, სუიციდის ან მაღალი რისკის შემცველი ძალადობისას.

აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმ მსჯავრდებულების შესახებ, რომელთაც მოსამართლის გადაწყვეტილებით სავალდებულოდ ჰქონდათ განსაზღვრული შესაბამის პროგრამებში ჩართულობა იმ რეგიონების მიხედვით, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტების მომსახურება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ამ ტიპის ბენეფიციარების გადამისამართება ახლომდებარე ოფისში ხორციელდებოდა, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. **შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, ხდებოდა თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულება იმ რეგიონებში, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტი.**

რაც შეეხება მიმდინარე მდგომარეობას, 2020 წელს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[78] განისაზღვრა, რომ პენიტენციურ სისტემაში სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით, შემთხვევის მართვა პირველ ეტაპზე დანერგილიყო შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან:

- N5 ქალთა სპეციალური დაწესებულების მსჯავრდებულებთან;
- N16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულების მსჯავრდებულებთან;
- ყველა უვადო მსჯავრდებულთან.

დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთათვის შემთხვევის მართვის პროცესის ეტაპობრივი დანერგვის ვადამ გადაიწია **2023 წლის 31 დეკემბრამდე.**

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით განახლებული და ერთობლივი რისკისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტისა და შემთხვევის მართვის ინსტრუქციის შესაქმნელად პენიტენციური სამსახურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლიდან მიმდინარეობს[79] მუშაობა და დღეის მდგომარეობით, ბრძანებით დამტკიცებული არ არის. თუმცა 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, შემთხვევის მართვა მიმდინარეობს ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მიმართებით, 2016 წლის 15 მარტს დამტკიცებული სამი მინისტრის ერთობლივი ბრძანების[80] საფუძველზე, ხოლო სრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში და შესაბამისი ბრძანებით[81] განსაზღვრულ მიზნობრივ ჯგუფებთან.

---

78 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.

79 ინსტრუქციაში გაწერილია როგორც შემთხვევის მართვის, ასევე გარდამავალი მენეჯმენტის სტანდარტი და „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის წესი და სტანდარტი“ მომზადებულია და უახლოეს პერიოდში იგეგმება მისი დამტკიცება.

80 2016 წლის 15 მარტის საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანება „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“.

81 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.

ცხრილი N8. ინფორმაცია 2021 წლის ივნისის მდგომარეობით შემთხვევის მართვის პროცესში სრულწლოვან მსჯავრდებულთა ჩართულობის შესახებ

დაწესებულება N	პროცესში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა	პროცესის დაწყების პერიოდი	დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობა
3	5	2020 წლის აგვისტოდან	40
5	99	2020 წლის მარტიდან	276
6	9	2021 წლის ივნისიდან	173
8	28	2021 წლის მარტიდან	1,437
10	22	2021 წლის ივნისიდან	237
15	5	2021 წლის მარტიდან	1,831
16	61	2020 წლის მარტიდან	226
17	137	2020 წლის მარტიდან	1,506
სულ:	366		5,726

შენიშვნა: N3 და N8 დაწესებულებებში პროცესში ჩართულები არიან მხოლოდ უვადო მსჯავრდებულები.

შესაბამისად, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული 7,321 სრულწლოვანი მსჯავრდებულიდან, შემთხვევის მართვა მიმდინარეობს მხოლოდ 366 ბენეფიციარის (5%) მიმართ, რაც მცირე რაოდენობაა და ვერ ჩაითვლება პოზიტიურ მაჩვენებლად.

იმ დაწესებულებებში, სადაც არ მიმდინარეობს შემთხვევის მართვის პროცესი, დანერგილია ე.წ. მოთხოვნის/საჭიროების მოდელი, ანუ, ფსიქოლოგის მეშვეობით ხორციელდება იმ მსჯავრდებულთა ინტერვენციებში[82] ჩართვა, რომლებიც ფსიქოლოგს მიმართავენ საკუთარი სურვილით ან შესაბამისი სპეციალისტების[83] მიერ ფსიქოლოგთან გადამისამართების საფუძველზე.

3.2.2 სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართულობის ნაკლოვანებები

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია კვალიფიციური და შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტების არსებობა. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების მიმართ პროგრამებში სავალდებულო ჩართულობას და საჭიროა სპეციალისტების ბენეფიციარებთან უწყვეტი მუშაობა ცნობიერების ამაღლებისა და პროცესში ჩართულობის გასაზრდელად.

82 ქცევის კორექციაზე/ცვლილებაზე ორიენტირებული სერვისები.

83 სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელი, შემთხვევის ადმინისტრატორი.

სქემა N6. ინფორმაცია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სპეციალისტების შესახებ



მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ზემოაღნიშნული სპეციალისტების საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათ მიერ ხორციელდება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სრული პროცესი. კერძოდ: მსჯავრდებულისათვის თავდაპირველი მდგომარეობის შეფასება, დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის დონისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დადგენა, კრიმინოგენური ფაქტორების შეფასება, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი ბენეფიციარის საჭიროებების შესაბამისად.

2018 წლის 13 ივნისს მიღებული „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირდა პენიტენციურ და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემებში[84] სოციალური მუშაობის წარმართვა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მიღებამდე, პენიტენციურ სამსახურში სოციალური მუშაკების საკვალიფიკაციო მოთხოვნა იყო, მხოლოდ უმაღლესი განათლება. უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებას, მათი საქმიანობა კი რეგულირდებოდა მხოლოდ შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელის ბრძანებებით.[85]

პრობაციის სააგენტოში სოციალური მუშაკების საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებული იყო უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში ან სხვა სფეროში (პირებს, რომელთაც არ აქვთ უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში, სავალდებულოა სასერტიფიკატო კურსი). მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის პერიოდში დასაქმებულ 7 სოციალურ მუშაკს, გავლილი ჰქონდა მხოლოდ მოკლევადიანი ტრენინგკურსები.

შესაბამისად, 2019 წლის მდგომარეობით სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დანიშნული პირების ნაწილს არ გააჩნდა განათლება სოციალურ მუშაობაში. კერძოდ:

---

84 „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 17 და 52 (პირველი რედაქცია).

85 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის N30 ბრძანება.

ცხრილი N9. ინფორმაცია 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობების და განათლების/კვალიფიკაციის შესახებ

სტრუქტურული ერთეული	რაოდენობა	განათლება			
		უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში	სერტიფიცირების კურსი სოციალურ მუშაობაში	სოციალურ მუშაობაში განათლების არმქონე	
				რაოდენობა	პროცენტი
პენიტენციური სამსახური სულ:	**86**	**6**	**2**	**78**	**91%**
მათ შორის: ცენტრალურ აპარატში[86]	15	1	-	14	93%
მათ შორის: პენიტენციურ დაწესებულებებში	71	5	2	66	93%
პრობაციის სააგენტო	**34**	**19**	**8**	**7**	**21%**
პრევენციის ცენტრი	**13**	**7**	**6**	**0**	**0%**

2018 წელს მიღებული „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა სოციალური მუშაკის პროფესიული კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები.[87] კერძოდ: **სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს:** მუშაკს უნდა გააჩნდეს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი.

2019 წელს პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტში სოციალური მუშაკები გაიყო ორ ჯგუფად: შემთხვევის მმართველი და შემთხვევის ადმინისტრატორი.

შემთხვევის მმართველი

სოციალური მუშაკი, რომელიც მართავს ბენეფიციარის შემთხვევას.

შემთხვევის ადმინისტრატორი

ეხმარება ბრალდებულს/მსჯავრდებულს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გაცნობა/განხორციელებაში და ხელს უწყობს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესს.

აღნიშნული დაყოფის შედეგად, პენიტენციურ სამსახურში ის სოციალური მუშაკები, რომელთაც გააჩნდათ კანონით განსაზღვრული შესაბამისი განათლება, დაინიშნენ შემთხვევის მმართველებად, ხოლო დანარჩენები – შემთხვევის ადმინისტრატორებად. ამასთანავე, ორივე პოზიციაზე 2021 წლამდე გამოცხადებულ ვაკანსიებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები იყო იდენტური[88] და მოითხოვებოდა განათლება სოციალურ მუშაობაში, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადმინისტრატორის ფუნქცია-მოვალეობები რეალურად არ საჭიროებს სოციალურ მუშაობაში განათლებას.[89]

86 2017-2018 წლებში პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური მუშაკის შტატზე დასაქმებულები პირები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებდნენ ცენტრალური აპარატიდან შემდეგი მიმართულებებით: მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ზოგადი და უმაღლესი განათლებით; საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები; კულტურული და სპორტული ღონისძიებების უზრუნველყოფა და სხვ.

87 ფსიქოლოგებთან მიმართებით საკანონმდებლო დონეზე კვლავ არ არის დარეგულირებული საქმიანობის ზოგადი წესი და პრინციპები.

88 აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევის ადმინისტრატორის თანამდებობაზე გამოცხადებული ვაკანსიების დიდ ნაწილზე კონკურსები უშედეგოდ სრულდებოდა.

89 2021 წლიდან შემთხვევის ადმინისტრატორის ვაკანსიებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა სოციალურ მუშაობაში განათლება აღარ არის.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმახორციელებელი სპეციალისტების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს პროცესის სრულ და ეფექტიან განხორციელებას. კერძოდ:

2017-2018 წლებში **პრობაციის 63 ოფისიდან** სოციალური მუშაკი **არ იყო** ხელმისაწვდომი, შესაბამისად, **43** და **46** მათგანში. ამავე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკების[90] მომსახურების მიღება შესაძლებელი იყო ყველა **პენიტენციურ დაწესებულებაში,** მათი უმეტესი ნაწილის საქმიანობა, ძირითადად, შემთხვევის ადმინისტრატორის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას უკავშირდებოდა.

2019 წლიდან, რეორგანიზაციის შემდგომ, სტრუქტურულ ერთეულებში აღნიშნული მიმართულებით დაიგეგმა და დაიწყო გარკვეული აქტივობები. თუმცა 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სოციალური მუშაკი,[91] რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს ბენეფიციარის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის (შემთხვევის მართვა) შედგენას, მონიტორინგს და ზედამხედველობას, პენიტენციური დაწესებულებებისა და პრობაციის ბიუროების დიდ ნაწილში ხელმისაწვდომი კვლავ არ იყო. (იხ. ცხრილი N10)

აუდიტის პერიოდში **ფსიქოლოგების** მომსახურება ხელმისაწვდომი იყო ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა პრობაციის 62 რეგიონული ოფისიდან მხოლოდ 20 მათგანში[92]. პრობაციის ბიუროს 9 ფსიქოლოგს ფუნქცია-მოვალეობების შესრულება ევალებოდათ რეგიონის მასშტაბით არსებულ ყველა ოფისში[93]. მაგალითად, კახეთის რეგიონში, თელავში მყოფ ფსიქოლოგს ევალებოდა თელავის, გურჯაანის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, სიღნაღის რაიონში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის მომსახურების გაწევა[94].

ცხრილი N10. 2019-2020 წლებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში გადანაწილება[95]

სტრუქტურული ერთეული	სპეციალისტი	2019		2020	
		დაწესებულებებ-ის/ოფისების რაოდენობა სულ	არ იყო ხელ-მისაწვდომი	დაწესებულებებ-ის/ოფისების რა-ოდენობა სულ	არ იყო ხელმისაწვ-დომი
პენიტენციური სამსახური	სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი)	15	9	13	8
პრობაციის ოფისი	სოციალური მუშაკი	63	45	64	45
	ფსიქოლოგი		42		43

90 სოციალური მუშაკების დაყოფამდე (შემთხვევის მმართველი/შემთხვევის ადმინისტრატორი).

91 პენიტენციურ სამსახურში (შემთხვევის მმართველი).

92 მონაცემები არ მოიცავს თბილისის ოფისებს, სადაც აუდიტის პერიოდში ფსიქოლოგის მომსახურება ხელმისაწვდომი იყო.

93 აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 9 ფსიქოლოგიდან 1 მათგანი აუდიტის პერიოდში ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა 2 რეგიონის მასშტაბით, ხოლო 3 მათგანი - როგორც რეგიონულ, ასევე თბილისის ოფისებში.

94 კახეთის რეგიონში მომუშავე ფსიქოლოგი ფუნქცია-მოვალეობებს სრულად ახორციელებდა თელავის და გურჯაანის ოფისებში, ხოლო დანარჩენ მათგანში მხოლოდ კრიზისული შემთხვევების დროს.

95 ცხრილში ნაჩვენები მონაცემები არ ასახავს სრულ სურათს, რადგან არ არის მითითებული ის დაწესებულებები, სადაც შემთხვევის მმართველები ფიქსირდებოდნენ მხოლოდ რამდენიმე თვით. მაგალითად, 2019 წელს N8 დაწესებულებაში შემთხვევის მმართველი მუშაობდა მხოლოდ 4 თვის განმავლობაში, ხოლო 2020 წელს N2 დაწესებულებაში – 3 თვით.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, პრობაციის ერთ ოფისში მომუშავე სპეციალისტი რეგიონის მასშტაბით მომსახურებას ახორციელებს სხვადასხვა ოფისში, თუმცა დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან განხორციელებას ბენეფიციართა სიმრავლიდან და მათზე რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მიღმა დაკისრებული მოვალეობებიდან გამომდინარე.[96] ამასთან, აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტები სხვადასხვა მომსახურებებს უწევენ ბრალდებულებსაც.

2019 წლის 11 მარტის ბრძანებით[97] განისაზღვრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა რაოდენობები. ბრძანების მიხედვით, 2020-2021 წლებში დეპარტამენტში გეგმით შემთხვევის მმართველის პოზიციაზე განსაზღვრული რაოდენობა უნდა ყოფილიყო 53, ფსიქოლოგების – 40. 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, შემთხვევის მმართველის პოზიციაზე დასაქმებულია 17, ფსიქოლოგის – 29 პირი.

ცხრილი N11. ინფორმაცია 2021 წლის ივნისის მდგომარეობით პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალისტების და მსჯავრდებულთა არსებული რაოდენობების შესახებ

]დაწესებულება	მსჯავრდებულ-თა რაოდენობა	სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი)	შემთხვევის ად-მინისტრატორი	ფსიქოლოგი
N15 დაწესებულება	1,831	-	5	2
N17 დაწესებულება	1,506	3	6	3
N8 დაწესებულება	1,431	1	14	8
N14 დაწესებულება	678	-	4	1
N2 დაწესებულება	540	-	7	1
N5 დაწესებულება	279	3	4	2
N12 დაწესებულება	273	-	4	1
N10 დაწესებულება	237	2	2	2
N16 დაწესებულება	226	2	2	1
N6 დაწესებულება	173	1	4	2
N18 დაწესებულება	106	-	2	1
N3 დაწესებულება	40	1	2	1
N11 **არასრულწლოვანთა** დაწესებულება	23	3	1	2
N8 დაწესებულების **არასრულწლოვანთა** განყოფილება	6	-	1	1
N2 დაწესებულების **არასრულწლოვანთა** განყოფილება	4	1	-	1
სულ:	7,353	17	58	29

96 პრობაციის სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები, გარდა პირობით მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა, მომსახურებას უწევენ განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს. ამასთანავე, ადგენენ სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ან/და 21 წლამდე პირის სასამართლო პროცესისთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს და პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის ამზადებენ ინფორმაციას მსჯავრდებული პირის ოჯახის და სოციალური გარემოს შეფასებასთან დაკავშირებით.

97 პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N1391 ბრძანება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით,[98] სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50-ს, თუმცა აღნიშნული ნორმის ამოქმედების ვადად მითითებულია 2025 წლის 1 იანვარი.

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოში 2019 წელს დასაქმებული იყო 19 თანამშრომელი, ხოლო სამმართველოს ოფისები ფუნქციონირებდა საქართველოს **მხოლოდ 5 ქალაქში** (თბილისი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი). 2019 წლის ივლისში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, 2020 წლისთვის, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა ფუნქციონირებს მხოლოდ თბილისში და პროცესს ახორციელებს სამმართველოში დასაქმებული მხოლოდ 5 თანამშრომელი.[99]

2021 წლის ივნისის მდგომარეობით, **ყოფილ პატიმართა** რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული იყო 311 ყოფილი პატიმარი, მათგან სოციალური მუშაკები მუშაობენ 190 ბენეფიციართან, ხოლო **121 ბენეფიციარი** რაიონული ოფისების დახურვისა და სპეციალისტების შემცირების გამო, ვერ იღებს შესაბამის მომსახურებას.

დღეის მდგომარეობით, ყოფილ პატიმრებთან მიმართებით კანონით განსაზღვრული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები და სერვისები ხელმისაწვდომია ძირითადად თბილისში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის.[100] **შესაბამისად, ყოფილი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეის მდგომარეობით ვერ სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებით, ჩაერთოს და ისარგებლოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული სერვისებით.**

აუდიტის პერიოდში გამოიკვეთა სპეციალისტების სისტემიდან გადინების, გამოცხადებულ ვაკანსიებზე კანდიდატთა დაბალი აქტივობისა და კონკურსების უშედეგოდ დასრულების ტენდენცია.[101]

ცხრილი N12. ინფორმაცია 2017-2020 წლებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების სისტემიდან გადინების შესახებ

სპეციალისტი	პენიტენციური სამსახური					სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო				
	2017	2018	2019	2020	სულ:	2017	2018	2019	2020	სულ:
სოციალური მუშაკი	13	16	37	6	**72**	2	-	10	2	**14**
ფსიქოლოგი	6	4	8	3	**21**	-	1	-	2	**3**
პრობაციის ოფიცერი	-	-	-	-	**0**	11	16	21	14	**62**
სულ:	19	20	45	9	93	13	17	31	18	79

98 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხლი 47, პუნქტი 2.

99 ვაკანტურია 1 - სოციალური მუშაკის, 1 - ფსიქოლოგისა და 1 - იურისტის პოზიციები.

100 შესაბამისი სპეციალისტები პროგრამაში ჩართვის მიზნით, შეხვედრებს ახორციელებენ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში.

101 2020-2021 წლებში აღნიშნულზე, ასევე გავლენა იქონია პანდემიამ.

ცხრილი N13. ინფორმაცია 2017-2021 წლებში სტრუქტურული ერთეულების მიერ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ

დასახელება	წელი	გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა[102]	უშედეგოდ დასრულებული	პროცენტული მაჩვენებელი
პენიტენციური სამსახური	2019-2020[103]	31	14	45%
	2021	77[104]	56	73%
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2017-2020	46	34	74%
	2021	55	37	67%

როგორც ცხრილი N13-დან ჩანს, გარდა იმისა, რომ აუდიტის პერიოდში (2017-2020 წლები) გამოცხადებული ვაკანსიების უშედეგოდ დასრულების მაჩვენებელი მაღალი იყო, სიტუაციის გაუმჯობესების ტენდენცია არც 2021 წელს[105] იკვეთება.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის მიზნით, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია ხელმძღვანელ პირებთან ინტერვიუების, ხოლო უშუალოდ სპეციალისტებთან მიმართებით, კითხვარების მეშვეობით.

ხელმძღვანელი პირები ინტერვიუებში აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში სოციალური მუშაკის სპეციალობა ახალი დამკვიდრებულია[106] და, შესაბამისად, ნაკლებობაა ისეთი სპეციალისტების, რომლებიც დააკმაყოფილებენ კანონით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ მათი სამუშაო არეალი გაფანტულია ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში.

სტრუქტურულ ერთეულებში პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) მოტივაციის ასამაღლებლად დანერგილია სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიება,[107] თუმცა აუდიტის შედეგად და სპეციალისტების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზით გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

---

102 სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში გარდა ცხრილში მითითებული მონაცემებისა, 2021 წელს მიმდინარეობდა კონკურსი 24 ვაკანსიაზე.

103 პენიტენციური სამსახურის მიერ 2017-2018 წლებში გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ მონაცემები ვერ იქნა მოწოდებული.

104 რაოდენობა მოიცავს 2020 წელს გამოცხადებულ კონკურსებს, რომლებიც პანდემიის გამო დასრულდა 2021 წელს.

105 2021 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

106 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბაკალავრიატი სპეციალობით: სოციალური მუშაობა, ხოლო ილიას სახელობის უნივერსიტეტში – მაგისტრატურა. 2008 წელს სამაგისტრო სწავლებისათვის სტუდენტების მიღება დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც.

107 პროფესიული განათლებისა და განვითარების პროგრამების ორგანიზება (სისტემის მასშტაბით სოციალური მიმართულების თანამშრომლებს ყველაზე ინტენსიურად უტარდებათ ტრენინგები, მათ შორის, მათი პროფესიული გადაწვის პრევენციის მიზნით). 2.თანამშრომელთა მომზადება მომავალ ტრენერებად, რათა სისტემის სხვა თანამშრომლების გადამზადებაში ჩაერთონ, რაც დამატებით ანაზღაურებადია; ოფიციალური მადლობის გამოცხადება, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულებისთვის; მენტორინგი - დეპარტამენტის ფარგლებში; სამუშაო გარემოს გაუმჯობესება; სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავებისას თანაავტორობა საერთაშორისო ექსპერტის მხარდაჭერით; სოციალური მიმართულების სპეციალისტებისთვის კანონით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება (საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“,, მუხლი 15, პუნქტი 3).

სპეციალისტები კითხვარში გადინებასა და ვაკანტური ადგილების აუთვისებლობასთან მიმართებით, გამოყოფენ რამდენიმე ძირითად მიზეზს. კერძოდ:

- ჩაკეტილ სისტემაში მუშაობის სტრესის გავლენა;
- სამუშაოს ეფექტიანად განხორციელების არასათანადო ინფრასტრუქტურული პირობები – უმეტესობას არ გააჩნია სამუშაო ოთახი, სადაც ბენეფიციარს გაუწევს მომსახურებას;
- დატვირთული სამუშაო გრაფიკი;
- სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებული რეორგანიზაცია;
- ტრანსპორტირების პრობლემა;[108]
- საქმის სიმრავლე, რაც გამოწვეულია სპეციალისტების რაოდენობის სიმცირით მსჯავრდებულების სიმრავლესთან შედარებით;
- დაბალი ანაზღაურება, რადგან იდენტურ ხელფასზე გარე სექტორში შესაძლებელია დასაქმება ზემოაღნიშნული ფაქტორების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი სპეციალისტების მნიშვნელოვანი საკადრო დეფიციტია, სისტემატურად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადინება, ამასთანავე, სისტემაში დასაქმების მამოტივირებელი ფაქტორების ნაკლებობა არსებითად უარყოფით გავლენას ახდენს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანობაზე.

3.2.3 პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები

საერთაშორისო სტანდარტების და წესების შესაბამისად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა და გამართულობა.

2017-2020 წლებში სხვადასხვა დონის უწყების და სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ შესაბამის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული იყო განახლებული კლასიფიკაციის ინსტრუმენტის შესაბამისად, სხვადასხვა რისკის დაწესებულებების შექმნა, არსებული დაწესებულებების გარემონტება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და არასრულწლოვანთა და 18-21 წლის დამნაშავეთათვის სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

აუდიტის პერიოდში გაუქმდა[109] N7, N9, N19 და ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ ერთმა, N10 დახურული ტიპის პენიტენციურმა დაწესებულებამ. დაბა ლაითურში მშენებარე დაწესებულება, რომლის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2007 წელს, დღეის მდგომარეობით კვლავ მშენებლობის პროცესშია და მისი დასრულება იგეგმება 2022 წლის 1 ივლისს, ხოლო 2017 წლის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული არასრულწლოვანთა და 18-21 წლის ასაკის დამნაშავეებისთვის სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა[110] არ დაწყებულა და მიმდინარე პერიოდში სამსახურის დღის წესრიგში არ დგას.

108 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული საკითხი 2021 წლის ივლისიდან დარეგულირდა.

109 მსჯავრდებულები გადანაწილდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში.

110 გათვალისწინებული იყო 2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის სამოქმედო გეგმით.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის 13 პენიტენციური დაწესებულება.



მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილი პროგრამების განსახორციელებლად აუცილებელია დაწესებულებებში შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის არსებობა, რაც დღეის მდგომარეობით სრულად უზრუნველყოფილი არ არის.

ცხრილი N14. ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ

არსებული ინფრასტრუქტურა	დაწესებულება												
	N2	N3	N5	N6	N8	N10	N11	N12	N14	N15	N16	N17	N18
სატრენინგო ოთახი	5	-	4	1	3	1	1	2	2	1	5	3	-
საკლასო ოთახი	2	-	-	-	1	-	5	-	-	-	-	-	-
კომპიუტერი(კომპ. პროგრამების შესასწავლად)	10	2	5	-	11	-	3	8	13	1	8	9	-
ბიბლიოთეკა	2	1	2	1	2	1	1	1	1	1	1	2	1
სახელოსნო ოთახი	-	-	1	-	-	-	2	-	1	4	7	3	-
სპორტული მოედანი (ღია)	-	-	2	-	-	1	2	1	1	1	1	3	-
სპორტული მოედანი/ ფიტნესდარბაზი (დახურული)	-	-	1	-	1	-	-	-	1	-	2	-	-
სათბური	-	-	1	-	-	-	-	-	-	1	1	-	-
ბოსტანი	-	-	-	-	1	-	-	-	-	1	-	-	-
მებოცვრეობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-

როგორც ცხრილი N14-დან ჩანს, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა დაწესებულებებში სრულყოფილად არ არის მოწყობილი.

ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის გამოყოფილი ოთახები ვერ უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან

განხორციელებას, აღნიშნულის შესახებ უშუალოდ პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტები კითხვარშიც მიუთითებენ. კერძოდ:

პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი შეხვედრის ოთახები, სადაც სპეციალისტები[111] გამართავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს ბენეფიციარებთან. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დაწესებულებებში აღნიშნული ოთახების მნიშვნელოვანი დეფიციტია. კერძოდ: 13 დაწესებულებიდან, 5 მათგანშია ხელმისაწვდომი, დანარჩენ დაწესებულებებში სპეციალისტები ბენეფიციარებთან შეხვედრებს ახორციელებენ საზიარო ოთახებში (ძირითადად, სამართლებრივი რეჟიმის წარმომადგენლებთან და ექიმებთან ერთად), სადაც შეხვედრების გამართვა მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, დაწესებულებებში არსებული ოთახები საჭიროებს სარემონტო სამუშაობს.[112]

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფმა პენიტენციური სამსახურისგან ვერ მიიღო შესაბამისი ინფორმაცია და მასალები რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გეგმის შესახებ.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ იქნა დაწესებულებებში პროცესში არსებული პროგრამების და სერვისების ეფექტიანი განხორციელების მიზნით დამატებით საჭირო სივრცეების და შესაბამისი მატერიალური ბაზის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ:

სქემა N7. ინფორმაცია, პროცესის უშუალო განმახორციელებელი სპეციალისტების მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში დამატებით საჭირო ინფრასტრუქტურის რაოდენობების შესახებ



N2	1	-	-
N3	1	-	-
N5	1	-	5
N6	1	-	5
N8	2	1	-
N10	1	-	8
N11	-	-	10
N12	1	-	-
N14	2	-	-
N15	2	-	10
N16	-	-	-
N17	2	-	-

111 სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

112 აღნიშნულის შესახებ მიუთითებს როგორც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, ასევე კითხვარში მითითებულ დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტები და პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელობა.

პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პრობაციის ბიუროს ოფისები გადანაწილებულია საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში, სულ – 65 ერთეული.

2019 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო პრობაციის ოფისების ინფრასტრუქტურული განახლება. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა საჭიროებების მოკვლევის შედეგად, განახლდა და გარემონტდა პრობაციის ოფისები, რომლის ინფრასტრუქტურა ამორტიზირებული იყო და არ აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტებს. 2019-2021 წლებში სულ გაიხსნა 2 ახალი, გარემონტდა 3, ხოლო იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში გადავიდა 49 ოფისი. მიუხედავად აღნიშნულისა, ოფისების გარკვეულ ნაწილში არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილ და ეფექტიან განხორციელებას. კერძოდ:

ოფისების გარკვეულ ნაწილში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის საჭირო შეხვედრების ოთახები, ნაწილში პროცესი ხორციელდება იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების საზიარო ოთახებში. კერძოდ:

ცხრილი N15. ინფორმაცია პრობაციის ოფისებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისათვის საჭირო შეხვედრების ოთახების ხელმისაწვდომობის შესახებ

დასახელება	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი	შენიშვნა
ოფისების რაოდენობა სულ:	65		
მათ შორის:			
ხელმისაწვდომია ინდივიდუალური შეხვედრის ოთახი	25	38%	საგერეჯოს ოფისში, არსებული ოთახი არ არის ათვისებული და საჭიროებს რემონტს, ხოლო ქუთაისის ოფისში – არსებულ ოთახში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.
არ არის ხელმისაწვდომი	7	11%	-
არ არის ხელმისაწვდომი და შეხვედრები მიმდინარეობს საზიარო ოთახებში	33	51%	თელავის ოფისში მიმდინარეობს პრობაციის ბიუროს სპეციალისტებისათვის შეხვედრების ოთახის მოწყობა.

ყოფილ პატიმრებთან მიმართებით, 2020 წლამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურა 63 ოფისიდან მოწყობილი იყო 5 მათგანში, ხოლო 2020 წლიდან კი – მხოლოდ თბილისში.

დასკვნა

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია. გარდა აღნიშნულისა, პროცესი სრულყოფილად ვერ ხორციელდება ყველა ბენეფიციარის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში. კერძოდ:

- 2017-2020 წლებში **პენიტენციური დაწესებულებებიდან** პირობით ვადამდე გათავისუფლდა ან სასჯელი თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი ფორმით შეეცვალა, ჯამურად – 4,866 ბენეფიციარს, საიდანაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში დანერგილ ძირითად

პროგრამებში ჩართული იყო მხოლოდ 20%.[113] აღსანიშნავია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, მსჯავრდებულთა უმრავლესობის მთავარი მამოტივირებელი ფაქტორია – პროცესში ჩართულობის გავლენა სასჯელის შემსუბუქებაზე. დღეის მდგომარეობით, მსჯავრდებულთა პროცესში ჩართულობის მოტივაციის გაზრდის მიზნით წამახალისებელი აქტივობები დანერგილი არ არის, თუმცა მიმდინარეობს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

- სასჯელის მოხდის **ინდივიდუალური გეგმის (შემთხვევის მართვა)** შედგენა არ ხორციელდება, როგორც პირობით, ასევე პატიმრობაში მყოფი ყველა მსჯავრდებულის მიმართ. კერძოდ:
  - პენიტენციურ დაწესებულებებში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი შეფერხებებით და 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, 7,321 სრულწლოვანი მსჯავრდებულიდან, შემთხვევის მართვა მიმდინარეობს მხოლოდ 366 (5%) ბენეფიციარის მიმართ;[114]
  - რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭიროა როგორც ფსიქოლოგის, ასევე სოციალური მუშაკის ჩართულობა. საკადრო დეფიციტის გამო, პროცესი არ არის ხელმისაწვდომი პრობაციის სააგენტოს ყველა რეგიონსა და ოფისებში.[115] ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს სავალდებულოდ განესაზღვრება სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა. დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, ხდებოდა თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულება იმ რეგიონებში, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტი;
  - აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმ მსჯავრდებულების შესახებ, რომელთაც მოსამართლის გადაწყვეტილებით **სავალდებულოდ** განსაზღვრული ჰქონდათ შესაბამის პროგრამებში ჩართულობა, იმ რეგიონების მიხედვით, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტების მომსახურება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ამ ტიპის ბენეფიციარების გადამისამართება ხორციელდებოდა გეოგრაფიულად ახლომდებარე ოფისებში, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, ხდებოდა თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილების აღსრულება იმ რეგიონებში, სადაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სპეციალისტი;
  - **ყოფილ პატიმრებთან მიმართებით** პროცესი 2020 წლამდე – 5 ოფისში, დღეის მდგომარეობით კი, მხოლოდ თბილისში მიმდინარეობს. პენიტენციური სამსახურის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, 2019-2020 წლებში პენიტენციური დაწესებულება დატოვა 7,879 მსჯავრდებულმა, ხოლო პროცესში ყოფილი პატიმრის სტატუსით ჩაერთო მხოლოდ – **4.5%.**

    2021 წლის ივნისის მდგომარეობით, **ყოფილ პატიმართა** რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული 311 ყოფილ პატიმართაგან სოციალური

113 ანალიტიკური პროცედურები განხორციელდა მხოლოდ 3,866 ბენეფიციარის მიმართ, რადგან დანარჩენების ზუსტი იდენტიფიცირება და შედარება ვერ მოხერხდა პირადობის მოწმობის, პირადი ნომრის არქონის გამო. იხ. აუდიტის შეზღუდვები.

114 იმ დაწესებულებებში, სადაც არ მიმდინარეობს შემთხვევის მართვის პროცესი, დანერგილია ე.წ. მოთხოვნის/საჭიროების მოდელი.

115 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პრობაციის სააგენტოს თბილისის ოფისების გარდა, ფსიქოლოგის მომსახურება ხელმისაწვდომი იყო 9-დან მხოლოდ 5 რეგიონში, სადაც რეგიონის მასშტაბით უფლებამოსილებას ახორციელებდა თითო ფსიქოლოგი (გარდა აჭარა-გურიის რეგიონებისა, რომელიც გაერთიანდა 2020 წელს და უფლებამოსილებას ახორციელებდა 2 ფსიქოლოგი). ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ რეგიონების მასშტაბით ფსიქოლოგები უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ კრიზისული შემთხვევების დროს. აღნიშნული კი ვერ უზრუნველყოფს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულყოფილ და ეფექტიან განხორციელებას.

მუშაკები მუშაობენ 190 ბენეფიციართან, ხოლო **121 ბენეფიციარი** რაიონული ოფისების დახურვისა და სპეციალისტების შემცირების გამო, ვერ იღებს შესაბამის მომსახურებას, ანუ, ყოფილი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეის მდგომარეობით ვერ სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებით, ჩაერთოს და ისარგებლოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში არსებული სერვისებით.

- სტრუქტურულ ერთეულებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მნიშვნელოვანი საკადრო დეფიციტია ბენეფიციარების რაოდენობასთან მიმართებით. ამასთანავე, მიმდინარეობდა სპეციალისტების სისტემიდან გადინების ტენდენცია. კერძოდ:
  - 2019 წელს **15 პენიტენციური დაწესებულებიდან** სოციალური მუშაკი (შემთხვევის მმართველი) ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 6-ში, 2020 წელს კი 13-დან 5 პენიტენციურ დაწესებულებაში. ასევე ამავე პერიოდში **პრობაციის სააგენტოს 64 ოფისიდან** სოციალური მუშაკი არ იყო ხელმისაწვდომი 45-ში, ფსიქოლოგი კი – 43 ოფისში;
  - სტრუქტურული ერთეულებიდან სპეციალისტთა გადინებისა და შესაბამის ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული კონკურსების უშედეგოდ დასრულების მაჩვენებელი მაღალია, რისი ძირითადი მიზეზი მამოტივირებელი ფაქტორების ნაკლებობაა.[116] ამასთანავე, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით პენიტენციურ სამსახურში დასაქმებული სოციალური მუშაკების 91%-ს, ხოლო პრობაციის ოფისებში – 21%-ს, არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია/განათლება სოციალური მუშაობის მიმართულებით.[117]
  - პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეფიციტია, ხოლო არსებული საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. **13 პენიტენციური დაწესებულებიდან,** სპეციალისტების მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური შეხვედრის ოთახები მხოლოდ 5 მათგანშია ხელმისაწვდომი, დანარჩენ დაწესებულებებში შეხვედრები ხორციელდება საზიარო ოთახებში,[118] სადაც შეხვედრების გამართვა მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, პროცესში დანერგილი პროგრამების და სერვისების ეფექტიანი განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი სივრცეები და მატერიალური ბაზა. ასევე: 2019-2021 წლებში პრობაციის სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები[119], თუმცა დღეის მდგომარეობით **პრობაციის 65 ოფისიდან** ინდივიდუალური შეხვედრების ოთახი 7 მათგანში არ არის, 33 ოფისში შეხვედრები მიმდინარეობს საზიარო ოთახებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში განხორციელებული ღონისძიებები აუდიტის პერიოდში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნების მიღწევას.

---

116 სტრუქტურულ ერთეულებში პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) მოტივაციის ასამაღლებლად დანერგილია სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიება, თუმცა აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

117 აღნიშნულ სპეციალისტებს გავლილი ჰქონდათ მხოლოდ მოკლევადიანი სატრენინგო კურსები.

118 ძირითადად, სამართლებრივი რეჟიმის წარმომადგენლებისა და ექიმის ოთახებში.

119 2019-2021 წლებში სულ გაიხსნა 2 ახალი, გარემონტდა 3, ხოლო იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში გადავიდა 49 ოფისი.

რეკომენდაცია

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს:

1. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს, დაინერგოს და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები. ამასთანავე, გაიზარდოს ძირითად პროგრამებში ჩართულობის გავლენა პირობით ვადაზე ადრე ან სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმით შეცვლის გადაწყვეტილების მიღებისას.

2. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრული და ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია:

- სტრუქტურულ ერთეულებში არსებული პროცესის განმახორციელებელი სპეციალისტების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები) დეფიციტის აღმოსაფხვრელად, დამატებით შემუშავდეს და გაძლიერდეს სისტემაში დასაქმების მამოტივირებელი ფაქტორები. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი კადრების მოზიდვას და შეაფერხებს სისტემიდან კადრების გადინების პროცესს;
- სტრუქტურული ერთეულებში შესაბამისი სამსახურების მიერ (პენიტენციური სამსახურის შემთხვევაში სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან კოორდინაციით) იდენტიფიცირებულ იქნეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის სრულად განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები, დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები და ეტაპობრივად უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის ხელმისაწვდომობა ყველა დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებში.

3.3 ბენეფიციართა განათლებით უზრუნველყოფის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსჯავრდებულთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პენიტენციურ დაწესებულებებში მათთვის სრულყოფილი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

ევროპული ციხის წესების თანახმად, მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც ინტეგრირებული იქნება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით. ამასთანავე, ყველა დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა, რომელიც მოეწყობა[120] საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სამსახურთან ერთად და სათანადოდ იქნება აღჭურვილი შესაბამისი მასალებით.

საქართველოს კონსტიტუციით[121] ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღებას,

120 სადაც შესაძლებელია.

121 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27, პუნქტები: 1 და 2.

კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ სახელმწიფოს დაფინანსებით, ასევე მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ: ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლება.

ზოგადი განათლება

2016 წელს სასჯელაღსრულებისა და განათლების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი.[122]

ამასთან, შექმნილია განათლების სამინისტროს პროგრამა – „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა“. პროგრამა იყოფა შემდეგ ქვეპროგრამებად:

- „N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებებში **არასრულწლოვანთა** ზოგადი განათლების უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა;
- „ქალაქ თბილისის N8 და ქალაქ ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში **არასრულწლოვანთა** ზოგადი განათლების უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა.

პენიტენციურ დაწესებულებებში გარდა არასრულწლოვნი მსჯავრდებულებისა, ზოგადი განათლების სრული კურსის გავლის შესაძლებლობა სრულწლოვან მსჯავრდებულებსაც აქვთ, თუმცა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით (პედაგოგების გარეშე), ექსტერნად გამოცდების ჩაბარების საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს, მას აქვს უფლება სწავლის დასრულებამდე პირადი განცხადების საფუძველზე და დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დარჩეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.[123] წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი გადაყვანა ხორციელდება დაბალი რისკის ან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში,[124] თუმცა ამ ტიპის დაწესებულებებში ზოგადი განათლების სრული კურსის გავლა შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით,[125] პედაგოგების დახმარების გარეშე.

პატიმრობის კოდექსის[126] შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზოგადი და პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად შექმნას პირობები და ბიბლიოთეკები აღჭურვოს შესაბამისი საგანმანათლებლო ლიტერატურით.

---

122 2016 წლის 1 სექტემბრის N110/6/N124 ბრძანება.

123 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მუხლი 90, პუნქტი 3.

124 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, 90-ე მუხლი 90, პუნქტი 2.

125 მათ სასწავლო პროგრამას არ მიაწოდებენ პედაგოგები.

126 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 113.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სრულწლოვან ბენეფიციარებს, რომლებიც ზოგადი განათლების სრულ კურსს პედაგოგების დახმარების გარეშე, საკუთარი შესაძლებლობებით გადიან, შესაბამისი სასწავლო წიგნებით არ უზრუნველყოფენ **განათლების სამინისტრო** და **პენიტენციური დაწესებულებები,** მიუხედავად საკანონმდებლო ვალდებულებისა. პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტები კითხვარში მიუთითებენ, რომ ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ლიტერატურის მიწოდება ძირითადად ხორციელდება მათი პირადი ინიციატივისა და კონტაქტების საშუალებით მოძიებული მასალებით.

აუდიტის პერიოდში, სრულწლოვანთა დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთაგან მხოლოდ სამმა მათგანმა ჩააბარა ექსტერნატის ფორმით გამოცდა, რაც დაბალი მაჩვენებელია და შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოაღნიშნული მიზეზებით. აღსანიშნავია, რომ არ არის აღრიცხული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობები.

პენიტენციური სამსახურის მიერ ვერ იქნა მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია ბენეფიციართა განათლების შესახებ. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო გაეანალიზებინა, რამდენ მსჯავრდებულს არ აქვს მიღებული ზოგადი განათლების სრული კურსი.

უმაღლესი განათლება

პატიმრობის კოდექსის[127] შესაბამისად, მსჯავრდებულები სარგებლობენ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განათლების მიღების უფლებით.[128]

2018 წლის 21 მარტის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით[129] დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესი და პირობები, ასევე განისაზღვრა შესაბამისი სპეციალობების ჩამონათვალი.[130]

აღნიშნული წესი მოქმედებს **მხოლოდ** შემდეგი ტიპის მსჯავრდებულებზე:

ა) **გათავისუფლებისთვის მომზადების** თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული;
ბ) **დაბალი რისკის მსჯავრდებული,** რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
გ) **არასრულწლოვანთა** სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული.

---

127 საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14, მე-2 პუნქტი 2, „გ“ ქვეპუნქტი.

128 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების ტრანსპორტირებას ახორციელებს „ესკორტი,“ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ შესაბამის საგამოცდო ცენტრში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მიზნით.

129 ბრძანება №72/№30/ნ.

130 ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ხელოვნების მიმართულებები, ინჟინერიის მიმართულება - კომპიუტინგი/ინფორმატიკა, მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება, სამართლის მიმართულება - სამართალმცოდნეობა, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

უმაღლესი განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა ნაკლოვანებები. კერძოდ:

- მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ სწავლების კორესპონდენციული მეთოდით.[131] შესაბამისად, მსჯავრდებულებს უწევთ განათლების მიღება დამოუკიდებლად, შესაბამისი ლექტორების ან/და ვიდეოჩანაწერების გარეშე.
- მოქმედი კანონმდებლობით, არასრულწოვანს შესაბამის დაწესებულებაში[132] აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს უმაღლესი განათლების მიღების პროცესში, თუმცა სრულწოვანობის ასაკის მიღწევის შემდგომ, თუ იგი არ დარჩება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო ან დაბალი რისკის დაწესებულებაში, მოუწევს სწავლის შეწყვეტა.
- არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას ნახევრად ღია, დახურული, განსაკუთრებული რისკისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის, მაშინ როდესაც აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხოვნობა სრული რაოდენობის 95% შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბენეფიციართა ნაწილისათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სურვილის შემთხვევაში პენიტენციური სამსახური შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს[133] ბენეფიციარებს, მიიღონ უმაღლესი განათლება. მოწოდებული ინფორმაციით, უმაღლესი განათლების მიღების პროცესში 42 ბენეფიციარი ჩართული იყო იმ პენიტენციური დაწესებულებიდან, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ნორმატიულად.

ამავე დროს, პასუხისმგებელი პირების განმარტებით,[134] არის შემთხვევები, როდესაც სასწავლო დაწესებულებები უარს აცხადებენ სწავლებაზე, შემდეგი მიზეზების გამო:

- სასწავლო პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც ვერ განხორციელდება ბენეფიციარის პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში. ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულმა ან ფაკულტეტი უნდა შეიცვალოს, ან შეწყვიტოს სწავლა გათავისუფლებამდე.
- არსებული კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც მხოლოდ დაბალი რისკისა და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს აქვთ საშუალება უმაღლესი განათლების მიწოდებით ისარგებლონ.
- სასწავლო დაწესებულებას არ აქვს მზაობა ან ვერ უზრუნველყოფს კორესპონდენციურ სწავლებას.

131 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შეთანხმებულ ვადებსა და შეთანხმებული პერიოდულობით, საკონტაქტო პირს აწვდის სასწავლო მასალას და შესასრულებელ დავალებებს მსჯავრდებულისათვის.

132 N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.

133 ახორციელებს კომუნიკაციას სასწავლო დაწესებულებებთან და მათგან თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სწავლებას ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმით.

134 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, კომუნიკაცია ხორციელდება სიტყვიერად, შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მასალები (მიმოწერა, წერილები და ა.შ.).

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: ნორმატიული აქტით[135] განსაზღვრულია შეზღუდული[136] სპეციალობების ჩამონათვალი, ასევე საკითხის დარეგულირებისა და ბენეფიციართათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციურ სამსახურსა და შესაბამის სტრუქტურებს[137] შორის არ არის სათანადო კოორდინაცია.

პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განმარტებით, უმაღლესი განათლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიმდინარეობდა კომუნიკაცია[138] განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებთან, თუმცა არსებული კანონმდებლობიდან და დაწესებულებების სტატუსიდან (დაწესებულებების უმეტესობა კერძო სუბიექტია) გამომდინარე, საკითხის დარეგულირება დღეის მდგომარეობით ვერ განხორციელდა.

მოწოდებული ინფორმაციით, 2017-2020 წლებში უმაღლესი განათლების პროცესში სულ ჩართული იყო 89 ბენეფიციარი, საიდანაც 34 მათგანზე მითითებულია, რომ შეწყვიტა სწავლა სხვადასხვა ეტაპზე. პენიტენციური დეპარტამენტის მიერ შეწყვეტის მიზეზები ვერ იქნა წარმოდგენილი რადგან არ მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვა.[139] ბენეფიციართა მიერ სწავლის შეწყვეტის მიზეზები შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებით.

პენიტენციურ დაწესებულებებში განათლების მიღების პროცესში არსებულმა ხარვეზებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს და ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს მსჯავრდებულთა სურვილზე, ჩაერთონ განათლების მიღების პროცესში.

დასკვნა

მსჯავრდებულთა განათლების მიღების ნაწილში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მსჯავრდებულთა სურვილსა და შესაძლებლობებზე მიიღონ სრულფასოვანი განათლება. კერძოდ:

- არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ნახევრად ღია, დახურული, განსაკუთრებული რისკისა და ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის, მაშინ როდესაც აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხოვნობა სრული რაოდენობის 95% შეადგენს.

---

135 2018 წლის 21 მარტის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება №72/№30/ნ.

136 ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს გარკვეულ სპეციალობებზე განათლების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები უარს აცხადებენ ბენეფიციართათვის სწავლებაზე ისეთ სპეციალობებზე, რომლებზეც ნორმატიული აქტით მსჯავრდებულებს არ აქვთ სწავლის დაშვება ან მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს. თუმცა ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული ნაწილი - სწავლების ბოლო ეტაპზე ხორციელდება, საწყის ეტაპზე (I, II ანდა III კურსი) შესაძლებელია თეორიული კურსის შესწავლა, სტუდენტის სტატუსის შეჩერება და გათავისუფლების შემდგომ - პრაქტიკული ნაწილის გავლა და სწავლების დასრულება.

137 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

138 კომუნიკაციას არ ჰქონია ოფიციალური ხასიათი (წერილობითი).

139 პენიტენციური სამსახურის მიერ მიზეზები იდენტიფიცირებულია მხოლოდ სამ შეთხვევაში. კერძოდ: უნივერსიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს დისტანციური სწავლება და შესაბამისი მასალების სრულფასოვანი მიწოდება მსჯავრდებულთათვის, ასევე ერთმა ბენეფიციარმა სწავლა შეწყვიტა არსებული საკანონმდებლო ხარვეზის გამო.

- სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის **ზოგადი განათლების** მიღება ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი შესაძლებლობებით, შესაბამისი პედაგოგების დახმარების გარეშე. ამასთანავე, მათ შესაბამისი სასწავლო წიგნებით უზრუნველყოფას განათლების სამინისტრო და პენიტენციური დაწესებულებები არ ახორციელებენ. აღნიშნულ ბენეფიციარებს წიგნებით უზრუნველყოფენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები პირადი ინიციატივითა და კონტაქტებით მოძიებული მასალებით; აუდიტის პერიოდში, სრულწლოვანთა დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთაგან, მხოლოდ სამმა პირმა ჩააბარა შესაბამისი გამოცდა, რაც დაბალი მაჩვენებელია და შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოაღნიშნული მიზეზებით.
- მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ კორესპონდენციული სწავლების მეთოდით და გარკვეული სპეციალობების მიმართულებით, თუმცა უმაღლესი განათლების მიღების პროცესში გამოვლინდა ნაკლოვანებები, რის გამოც ბენეფიციართა ნაწილმა[140] სწავლა შეწყვიტა. აღნიშნული გამოწვეულია ნორმატიული აქტით განსაზღვრული შეზღუდული სპეციალობების ჩამონათვალით, ასევე საკითხის დარეგულირებისა და მსჯავრდებულთათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციურ სამსახურსა და შესაბამის სტრუქტურებს[141] შორის არასათანადო კოორდინაციით.
- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ბიბლიოთეკები საჭიროებს როგორც სარემონტო სამუშაოებს, ასევე შესაბამისი საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურითა და მასალებით (განსაკუთრებით უცხოენოვანი) შევსებას.[142]

რეკომენდაცია

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს

მსჯავრდებულთა განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია:

- განხორციელდეს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბიბლიოთეკების განახლება, როგორც სარემონტო სამუშაოების, ასევე საგანმანათლებლო და ზოგადი ლიტერატურული მასალების (განსაკუთრებით უცხოენოვანი) შევსების კუთხით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით დამუშავდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ყველა ტიპის მსჯავრდებულს მისცემს საშუალებას, მიიღოს უმაღლესი განათლება და შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების მიზნით სპეციალობათა ჩამონათვალი;
- საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების ფარგლებში, განათლების სამინისტროს აქტიური ჩართულობით, პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების პროცესში უნივერსიტეტების დაინტერესებისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნის ინიციირება.

---

140 აუდიტის პერიოდში სწავლა შეწყვიტა სულ 34 ბენეფიციარმა, თუმცა შეწყვეტის მიზეზი, მხოლოდ სამ შემთხვევაშია იდენტიფიცირებული და მოწოდებული პენიტენციური სამსახურის მიერ (კერძოდ: უნივერსიტეტს არ ჰქონდა მზაობა ან ვერ უზრუნველყო კორესპონდენციული სწავლება), დანარჩენ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია აღურიცხველობიდან გამომდინარე.

141 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

142 ბიბლიოთეკების შესაბამისი ლიტერატურით შევსება-განახლების მიმართულებით სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ 2021 წლიდან მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობა.

3.4 ბენეფიციართა დასაქმების პროცესში არსებული ხარვეზები

პატიმრობის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას მსჯავრდებულთა დასაქმება წარმოადგენს. ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

დასაქმებას ყოფილი მსჯავრდებულისა და პატიმრისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალოდ ფინანსურ შემოსავალს. ღირსეულ დასაქმებას შეუძლია ჩართოს პატიმარი ყოველდღიურ საქმიანობაში და შეუქმნას სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობა. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა დასაქმება საგრძნობლად ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელს.[143]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბერის N157 ბრძანებით დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი.[144]

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ასრულებს ანაზღაურებად სამეურნეო სამუშაოს, მას დაენიშნება ანაზღაურება.[145]

შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე დღეის მდგომარეობით პენიტენციურ სამსახურში მსჯავრდებულთა დასაქმება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:[146]

სამეურნეო დასაქმება – პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ჩარიცხვა სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი ანაზღაურებით:[147]

საწარმო დასაქმება (ხელშეკრულებით) – ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება დასაქმდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ საწარმოში;

ინდივიდუალური საქმიანობა – პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით, ინდივიდუალური საქმიანობა და პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაცია.

---

143 https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/217412/impact-employment-reoffending.pdf

144 მსჯავრდებული შეიძლება ჩარიცხულ იქნეს იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მისი წერილობითი განცხადების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით (დაწესებულების ექიმის რეკომენდაციით), დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

145 სამუშაო ჯგუფის უფროსს თვეში - 250 ლარის, უფროსის მოადგილეს - 225 ლარის, ხოლო სამუშაო ჯგუფის წევრ მსჯავრდებულს - 200 ლარის ოდენობით.

146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 4 ივლისის N85 ბრძანებით განისაზღვრა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალი.

147 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 4 ივლისის ბრძანებით განისაზღვრა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალი.

ცხრილი N16. ინფორმაცია 2017-2020 წლებში პენიტენციურ სამსახურში დასაქმებული მსჯავრდებულების რაოდენობის შესახებ

დასაქმების ტიპი	წელი	რაოდენობა სამუშაო ადგილების მიხედვით[148]	დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობა
სამეურნეო სამსახურში	2017	723	660
	2018	710	634
	2019	759	638
	2020	863	861
საწარმოო დასაქმება[149] ხელშეკრულებით	2017	33	33
	2018	83	75
	2019	87	84
	2020	287	272
ინდივიდუალური დასაქმება	2017	67	67
	2018	79	78
	2019	79	79
	2020	34	31

გარდა ზემოაღნიშნულისა,

- 2019 წლიდან გლდანის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობს **დიგიტალიზაციის პროექტი,**[150] რომელსაც მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან ერთად ახორციელებს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. პროექტში 2019 წელს დასაქმებული იყო 8, ხოლო 2020 წელს – 13 მსჯავრდებული.
- 2020 წლიდან N16 დაწესებულებაში ფუნქციონირებს სოციალური საწარმო SEF „ფრილანსერი“.[151] პროექტის ფარგლებში 2020 წელს N16 დაწესებულებაში დასაქმებული იყო 10 მსჯავრდებული.

მსჯავრდებულის **სამეურნეო სამსახურში** ჩარიცხვა ხორციელდება მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულთადასაქმებარესოციალიზაცია-რეაბილიტაციისპროცესისერთ-ერთიმნიშვნელოვანი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, სამეურნეო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების კომისიაში არ არიან ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უშუალო განმახორციელებელი სპეციალისტები – სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

მსჯავრდებულის **საწარმოო დასაქმებაში** ჩარიცხვა ხორციელდება მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით.[152]

---

148 მოწოდებული ინფორმაციით, ერთი მსჯავრდებული დასაქმებულია რამდენიმე სამუშაო ადგილზე.

149 მაღაზია, სამკერვალო, სასადილო, თონე, საცხობი, ეზოს მიმდებარე ტერიტორიის გაზონების მოწყობა-მოვლა და ბოსტანი.

150 მსჯავრდებულები დიგიტალიზაციის პროცესში, გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების სკანირებას ახდენენ. დიგიტალიზაციის პროექტში პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული მსჯავრდებულების თანამდებობრივი სარგო შეადგენს 300 ლარს, ხოლო გათავისუფლების შემდგომ, მსჯავრდებული სურვილის შემთხვევაში აგრძელებს მუშაობას და აღნიშნულ შემთხვევაში მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 600 ლარს.

151 CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ დაფინანსებული სოციალური საწარმო SEF „ფრილანსერი“, რომელიც ეწევა აუდიო-ვიდეო მომსახურებას, გრაფიკული დიზაინი და სხვადასხვა ციფრული სამუშაოს შესრულებას. პროექტი მოამზადა 2019 წელს N16 დაწესებულების მსჯავრდებულთა საინიციატივო ჯგუფმა. პროექტის ფარგლებში შეკვეთები ხორციელდება როგორც ადგილობრივი დამკვეთებისგან, ასევე საზღვარგარეთიდანაც.

152 დადებითი პასუხის შემთხვევაში გადაწყვეტილება ეგზავნება დამსაქმებელს და ასევე მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობა, რომ მისი პერსონალური მონაცემები გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთან.

პენიტენციურ დაწესებულებებში, არაერთი მსჯავრდებული დაკავებულია ინდივიდუალური საქმიანობით, კერძოდ, ამზადებენ სხვადასხვა ტიპის ნაკეთობებს (ჯვრები, მინანქრისა და თექის ნაწარმი და სხვ.) 2016 წელს პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად,[153] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება მიეცათ დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ეწეოდნენ ინდივიდუალურ საქმიანობას და შემდეგ დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციას; მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, ონლაინ მაღაზიის მეშვეობით, ხორციელდებოდა ნამუშევრების გაყიდვა და რეალიზაციით მიღებული თანხა პირდაპირ ერიცხებოდათ მსჯავრდებულებს პირად საბანკო ანგარიშებზე.[154]

მსჯავრდებულები გამზადებულ პროდუქციას აწვდიდნენ სოციალურ სამსახურს, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა ნაწარმის ტრანსპორტირებასა და განთავსებას ონლაინ მაღაზიაში.[155]

ონლაინ მაღაზიის მართვასთან მიმართებით გამოიკვეთა გარკვეული შეფერხებები. პენიტენციურმა სამსახურმა ვერ უზრუნველყო პროდუქციის გასხვისების პროცესის ორგანიზება, მიუხედავად იმისა, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციასთან,[156] აღნიშნული კი მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებაა. დღეის მდგომარეობით ონლაინ მაღაზია გაუქმებულია და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, მხოლოდ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე ხორციელდება.[157]

სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლება, პენიტენციურ დაწესებულებაში ნამუშევარი დღეების პროპორციულად, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული განხორციელებული არ არის.

ყოფილი პატიმრების დასაქმების კუთხით 2017-2020 წლებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სამი მიმართულებით:[158]

- პროფესიული მომზადება-გადამზადება და ამ კუთხით ბენეფიციარების დასაქმების უნარების გაუმჯობესება;
- პარტნიორი ორგანიზაციებიდან ვაკანტური პოზიციების შესახებ ინფორმაციის მიღება და შემდეგ ამ ვაკანსიებზე ბენეფიციარების შერჩევა;
- ბენეფიციარების თვითდასაქმების მიზნით მცირე ბიზნესიდეების დაფინანსება.

---

153 https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106919; https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106918

154 შემოსავლების სამსახურის შესაბამისი თანამშრომლები დაწესებულებებში ვიზიტისას არეგისტრირებდნენ პირს მცირე მეწარმედ და ისინი ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფლებოდნენ.

155 https://online.moc.gov.ge/katalogi

156 მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ბანკთან, სწრაფი ონლაინ გადარიცხვებით პროდუქციის გასხვისებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები შესაბამის საკურიერო ფირმებთან, რომ სახლიდან გაუსვლელად, ნებისმიერ ადამიანს შესძლებოდა პროდუქციის მიღება.

157 ძირითადად, მსჯავრდებულები ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციას ოჯახის წევრების დახმარებით ახორციელებენ.

158 ძირითადი დამსაქმებელი ორგანიზაციები: იუსტიციის სამინისტროს სოციალური საწარმო, სსიპ - „შეცვალე სცენარი“; არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“; თბილისის მერიის დასუფთავების სამსახური - „ჰიგიენ სერვისი“; ბათუმის მერიის ბულვარის განაშენიანების სამსახური; ზუგდიდის მერია - ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი; სამშენებლო კომპანია Geo Co; იუსტიციის სამინისტროს მცირე ბიზნესიდეების დაფინანსების კონკურსი - „თვითდასაქმება“; სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის მონაცემებით, 2017-2019 წლებში ასევე განხორციელდა ყოფილი პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების დასაქმება.

ცხრილი N17. ინფორმაცია 2017-2019 წლებში ყოფილი პატიმრების და მათი ოჯახის წევრების დასაქმების შესახებ

წელი	სარეაბილიტაციო პროგრამების გავლის შედეგად დასაქმდა დამოუკიდებლად	დასაქმდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის დახმარებით		სულ:
		ყოფილი პატიმარი	ოჯახის წევრი	
2017	51	7	1	59
2018	30	8	3	41
2019	7	2	1	10
სულ:	88	17	5	110

აუდიტის შედეგად ბენეფიციართა დასაქმების კუთხით გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები და გაუმჯობესების პოტენციალი, კერძოდ:

- რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირების დიდ ნაწილს არ აქვს დასაქმებისთვის შესაბამისი განათლება ან პროფესიული უნარები;
- ხშირ შემთხვევაში ოჯახი ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში, რაც გულისხმობს როგორც ფინანსურ დახმარებას, ასევე შეღავათებს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში და კომუნალური გადასახადების კუთხით; 2019 წლის შემდგომ ის ბენეფიციარები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, ან არ ჰყავთ მრავალრიცხოვანი ოჯახი, ან უარს აცხადებენ შეთავაზებულ ვაკანსიაზე მუშაობის დაწყებაზე და არჩევენ სოციალური დახმარების მიღებას, ან ირჩევენ ისეთი ტიპის სამსახურს, სადაც ანაზღაურება არ ხორციელდება საბანკო ჩარიცხვებით, ვინაიდან შემოსავლების გაზრდა/გაჩენა იწვევს შემწეობის შეჩერებას.[159]
- არის შემთხვევები, როდესაც ფინანსური ვალდებულებების გამო, პირს სსიპ – აღსრულების ეროვნული სააგენტოს მიერ დაყადაღებული აქვს პირადი ანგარიშები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც ჩართული იყვნენ სოციალური დახმარების პროგრამაში ან ფინანსური ვალდებულებების გამო დაყადაღებული ჰქონდათ პირადი ანგარიშები, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული ყოფილი პატიმრების **65%-ს შეადგენდა.**

ზემოაღნიშნული პრობლემა ექვემდებარება შესწავლას და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა პრობაციის სააგენტოსა და შესაბამისი უწყებების[160] კოორდინირებული მუშაობა.

159 2006 წლის 22 აგვისტოს N225/ნ ბრძანებაში 2019 წლის 31 იანვარს განხორციელებული ცვლილების მიხედვით: „შემოსავლების გაზრდა/გაჩენა, იწვევს შემწეობის შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ხელზე აღებული ხელფასის ოდენობას და „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამის გრაფაში - „ხელფასი“ დაფიქსირებულ ოდენობას შორის სხვაობა ტოლია ან ნაკლებია 175 ლარზე.“

160საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიურო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2017-2020 წლებში დაფინანსდა იმ ყოფილი პატიმრების ბიზნესიდეები, რომლებიც პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ ჩაერთვნენ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამაში.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2017-2019 წლებში დაფინანსდა 63 ბენეფიციარის ბიზნესიდეა. ამასთანავე, 2017-2019 წლებში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად დაფინანსდა 76 ბენეფიციარის 83 ბიზნეს იდეა.

2015 წელს სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრმა დააფუძნა ა(ა)იპ – **„შეცვალე სცენარი“,**[161] სადაც შედიოდა – მცირე კაფეტერია თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე და ავტოსამრეცხაო, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდთან. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს და მათი ოჯახის წევრებს შეეძლოთ დასაქმებულიყვნენ. საწარმოს ფუნქციონირების განმავლობაში[162] დასაქმდა ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული 30 ბენეფიციარი[163].

2017-2019 წლებში სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრს საწარმოსთვის მიმდინარე გრანტის სახით გადარიცხული აქვს 168,000 ლარი.[164]

პროექტის ფარგლებში გახსნილი ავტოსამრეცხაო 6 თვეში დაიხურა, ხოლო კაფეტერიამ მომხარებელთა კლების გამო, ფუნქციონირება 2019 წელს შეწყვიტა. 2020 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ. საწარმოს ლიკვიდაციამდე თანამშრომლებს ჩვეულებრივად ერიცხებოდათ ხელფასი, ხოლო საწარმოს დახურვის შემდგომ, ხელშეკრულების გაწყვეტის საფუძველზე, მათ მისცეს კომპენსაცია.

აუდიტის პერიოდში 2017-2019 წლებში საწარმოში დასაქმებული იყო სულ 14 ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრები, ასევე – 8 დაქირავებული თანამშრომელი.

2020 წლის 28 ივლისის საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე ა(ა)იპ-ს ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა ჯარიმა.

---

161 2015 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში დანაშაულის პრევენციის ცენტრს უნდა დაეფუძნებინა და აემუშავებინა სოციალური საწარმო, რომელიც ფართოდ ხელმისაწვდომს გახდიდა თერაპიას სამუშაო მიდგომის მეშვეობით და სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართავდა რისკის ქვეშ, სტაბილურ მდგომარეობაში მყოფ და ყოფილ ნარკოტიკების მომხმარებლებს. ხელშეკრულების თანახმად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - „სოციალური საწარმო დანაშაულის პრევენციისთვის“ პროექტის განხორციელებაში 2015 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე, ვალდებულებას იღებდა გამოეყო გრანტი, მაქსიმუმ, 87,500 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით.

162 2015-2019 წლებში.

163 მათ შორის: 20 ყოფილი პატიმარი და 10 ოჯახის წევრი.

164 2017-2020 წლებში ა(ა)იპ - „შეცვალე სცენარის“ ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია ვერ იქნა მოწოდებული.

დასკვნა

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმებაში გამოვლინდა ხარვეზები და გამოწვევები, კერძოდ:

- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა დასაქმების გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უშუალო განმახორციელებელი სპეციალისტები (სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები);
- პენიტენციურ დაწესებულებებში, მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის ფარგლებში დამზადებული სხვადასხვა ტიპის ნაკეთობის რეალიზება უნდა განხორციელენულიყო ონლაინ მაღაზიის მეშვეობით, თუმცა პროდუქციის გაყიდვებთან მიმართებით შეიქმნა პრობლემები, რომელთა დარეგულირება პენიტენციურმა სამსახურმა ვერ განახორციელა. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ონლაინ მაღაზია აღარ ფუნქციონირებს;[165]
- 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მონაწილე ყოფილი პატიმრების 65% ჩართული იყო სოციალური დახმარების პროგრამაში ან დაყადაღებული ჰქონდა ანგარიშები. დასაქმების შემთხვევაში კი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ბენეფიციარებს ეხსნებათ სოციალური შემწეობა. შესაბამისად, უმეტესი მათგანი დასაქმებისას ან უარს აცხადებს შეთავაზებულ ვაკანსიაზე მუშაობის დაწყებაზე და არჩევს სოციალური დახმარების მიღებას, ან ირჩევს ისეთი ტიპის სამსახურს, სადაც ანაზღაურება არ ხორციელდება საბანკო ჩარიცხვების გზით;
- ყოფილ პატიმართა და მათი ოჯახის წევრების დასაქმების მიზნით შექმნილმა საწარმომ – ა(ა)იპ – „შეცვალე სცენარი“) მომხმარებლის კლების გამო 2019 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება. შესაბამისად, დახარჯულმა რესურსმა ვერ უზრუნველყო შედეგის მიღება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა და გამოწვევების დარეგულირება მნიშვნელოვნად გაზრდის მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების მაჩვენებლებს, რაც დადებითად აისახება ბენეფიციართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე.

რეკომენდაცია

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს:

- მსჯავრდებულთა დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშნელოვანია პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულების დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა მიიღონ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულმა სპეციალისტებმა, რათა დასაქმება პროცესში ჩართულობისთვის ერთ-ერთი მამოტივირებელი ფაქტორი გახდეს;
- მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული პროდუქციის გასხვისების მიზნით, განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები და შეიქმნას საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ეფექტიანი მექანიზმები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა, როგორც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე, ასევე უზრუნველყოფს მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

165 2021 წლის მდგომარეობით მიმდინარეობს მაღაზიისა და ონლაინ მაღაზიის პლატფორმაზე მუშაობა.

- სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართული და ფინანსური ვალდებულებების მქონე ბენეფიციართა დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევების შესასწავლად და საკითხის დასარეგულირებლად, მნიშვნელოვანია სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატირმო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, უზრუნველყოს კოორდინირებული მუშაობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, მსჯავრდებულთა დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით.

3.5 მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის გაუმჯობესების პოტენციალი

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი კონტაქტი გარე სამყაროსთან.

გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ „ნელსონ მანდელას წესების“ მიხედვით, პატიმრებს უფლება აქვთ და, შესაბამისად, ნებართვა უნდა მიეცეთ რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე მათთან დაენიშნოთ პაემნები.

პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგან იგი მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსის შესახებ ითვალისწინებს მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა, **მიმოწერა, სატელეფონო საუბარი, ამანათების მიღება/გაგზავნა და პაემანი.**

საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსის შესახებ განსაზღვრავს 4 სახის პაემანსა და იმ პირთა წრეს, რომელთანაც მსჯავრდებულებს აქვთ შეხვედრის/კომუნიკაციის უფლება. კერძოდ:

- ხანმოკლე პაემანი;
- ვიდეოპაემანი;
- ხანგრძლივი პაემანი (ფასიანი);
- საოჯახო პაემანი.

ვიდეოპაემნის ორგანიზებას, მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულება, ხოლო პენიტენციური დაწესებულების გარეთ პრობაციის ეროვნული სააგენტო,[166] ანუ ვიდეოპაემნის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ინფრასტუქტურა, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე პრობაციის ბიუროებში.

166 ვიდეოპაემნის განსახორციელებლად მსჯავრდებულის ახლობლები უნდა გამოცხადდნენ პრობაციის შესაბამის ოფისებში, სადაც მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ქვეყნის მასშტაბით არსებულ პრობაციის ბიუროებში, სააგენტოს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოწყობილი ოთახები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების კანონით განსაზღვრულ პირებთან ვიდეოპაემანი.

ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის კანონით განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრება[167] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ხანგრძლივი პაემანი ფასიანია[168] და შესაბამის ხარჯებს ფარავს მსჯავრდებული ან ის პირი, ვისაც უშუალოდ ხვდება მსჯავრდებული, ხოლო სტუმრებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

2014 წლის 22 ივლისს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N132 ბრძანებით[169] დამტკიცდა მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესი.

მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნის უზრუნველყოფას ახორციელებს **შპს – „პერსპექტივა“,**[170] რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. 2020 წლის მდგომარეობით ხანგრძლივი პაემნების განხორციელების მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში მოწყობილი იყო, ჯამში – 80 ოთახი.

აუდიტის შედეგად მსჯავრდებულთა პაემნებით უზრუნველყოფის ნაწილში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება, კერძოდ:

- **ვიდეოპაემნებისათვის** საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის ხელმისაწვდომი ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში,[171] შესაბამისად, მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი ვერ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით.
  ქვეყნის მასშტაბით პრობაციის სააგენტოს 65 ოფისიდან, მხოლოდ 12-შია მოწყობილი ვიდეოპაემნის ორგანიზებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მაგალითად: იმერეთის რეგიონში განთავსებულია 12 რეგიონული ოფისი,[172] თუმცა ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ქუთაისის ოფისიდან. სამეგრელო და ზემო სვანეთის 9

---

167 ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს, არაუმეტეს 47 საათამდე.

168 თითოეული ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში – 30 ლარით. თუ მსჯავრდებულს ხანგრძლივი პაემანი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაუგრძელდა არაუმეტეს 47 საათისა, ამ შემთხვევაში ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 120 ლარით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 60 ლარით.

169 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N132 ბრძანება „მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

170 საწარმო დაფუძნდა 2011 წლის 29 დეკემბერს.

171 არ არის ხელმისაწვდომი N2, N10, N12, N18 დაწესებულებებში; აღსანიშნავია, რომ N2-დაწესებულებაში 2019-2020 წლებში გამოიყო ფართი და დაწყებულია გარკვეული სარემონტო სამუშაოები, ხოლო N18 დაწესებულების დებულება არ ითვალისწინებს ვიდეოპაემნის სერვისს და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

172 ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი, თერჯოლა, წყალტუბო, საჩხერე, ტყიბული, ჭიათურა, ბაღდათი, ხარაგაული, ვანი, ხონი.

ოფისიდან[173] კი, მხოლოდ ზუგდიდშია ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მსჯავრდებულთან, მაქსიმუმ, 15-წუთიანი ვიდეოპაემნის განსახორციელებლად ოჯახის წევრებს, მეგობრებს და სხვა პირებს უწევთ შორი მანძილის დაფარვა.

ვიდეოპაემნის უფლებით ვერ სარგებლობენ პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული **უცხო ქვეყნის** ის მოქალაქეები, რომელთა ახლო ნათესავები და მეგობრები საქართველოში არ იმყოფებიან. სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულები განსაკუთრებით განიცდიან ოჯახის წევრებისგან შორს ყოფნას, ხშირად გამოხატავენ აღნიშნული პრობლემის შესახებ პრეტენზიას, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა კი მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს.

- **საოჯახო პაემანი** – 2012 წლის 20 ივნისიდან ამოქმედდა მხოლოდ ქალ მსჯავრდებულთათვის, რაც მათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში შეხვედრის საშუალებას მისცემდა პირთა გარკვეულ წრესთან[174] შეხვედრა გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა, თუმცა სერვისის პრაქტიკაში განხორციელება 2019 წელს დაიწყო.
- **ხანგრძლივი პაემანი** – სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სერვისის განხორციელების მიზნით პენიტენციური სამსახურის მიერ ხორციელდება მსჯავრდებულთა გადაყვანა[175] სხვა დაწესებულებებში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, აღნიშნული კი დამატებით ზრდის ადამიანური და ფინანსური რესურსების ხარჯს.

ხანგრძლივი პაემნის სერვისის უზრუნველყოფას ახორციელებს შპს „პერსპექტივა“. კომპანიამ 2019 წელს განახორციელა სერვისით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მონიტორინგი. შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და ყველა ოთახში არსებული გარემო და ჰიგიენური პირობები საჭიროებდა მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს, განსაკუთრებით, რამდენიმე დაწესებულების.[176]

სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და ზოგიერთ დაწესებულებაში ბავშვთა კუთხეების მოსაწყობად, შპს – „პერსპექტივის“ მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად, შედგა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, თუმცა პანდემიის გამო შესაბამისი სამუშაოები არ ჩატარებულა.

დასკვნა

მსჯავრდებულთათვის არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი გარე სამყაროსთან კომუნიკაციაის საშუალებები. აღნიშნული გამოწვეულია შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების ნაკლებობით. კერძოდ:

173 ზუგდიდი, წალენჯიხა, მარტვილი, ჩხოროწყუ, აბაშა, ხობი, ფოთი, სენაკი, მესტია.

174 შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან.

175 შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა მოწოდებული.

176 N2, N6, N14, N15, N17, N5 ქალთა და N11 არასრულწლოვანთა დაწესებულებები.

- **ვიდეოპაემნებისათვის** საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის ხელმისაწვდომი 13-დან 4[177] პენიტენციურ დაწესებულებაში.[178] ქვეყნის მასშტაბით, პრობაციის სააგენტოს 65 ოფისიდან, მხოლოდ 12 მათგანშია მოწყობილი ვიდეოპაემნის ორგანიზებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.
- **ხანგრძლივი პაემნის** სერვისი არ არის ხელმისაწვდომი ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო სერვისის განხორციელების მიზნით, პენიტენციური სამსახურის მიერ ხორციელდება მსჯავრდებულთა გადაყვანა სხვა დაწესებულებებში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რაც დამატებით ზრდის ადამიანური და ფინანსური რესურსების საჭიროებას.

რეკომენდაცია

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს:

მსჯავრდებულთა გარე სამყაროსთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია:

- შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა ყველა მსჯავრდებულს (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს) მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ვიდეოპაემნის სერვისით.
- მნიშვნელოვანია ხანგრძლივი პაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ამასთანავე, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, განხორციელდეს არსებულის სარემონტო სამუშაოები.

3.6 სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლოვანებების გავლენა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე

მსჯავრდებული პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მნიშვნელოვანია შეეგუოს გარე სამყაროს, აღარ მოვიდეს კანონთან კონფლიქტში და არ ჩაიდინოს განმეორებითი დანაშაული. განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებულს ციხეში მრავალი წლის გატარება უწევს. პენიტენციური დაწესებულებიდან ახლად გამოსული პირისთვის პირველი წელი, განსაკუთრებით, პირველი რამდენიმე თვე, კრიტიკულ პერიოდად მიიჩნევა დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის გამო.[179]

პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით გარესამყაროსთან ადაპტაციისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით, საჭიროა სხვადასხვა სახის პროგრამა. პატიმარს გათავისუფლების წინა პროგრამების ან ღია დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით, უნდა მიეცეს საზოგადოებაში ეტაპობრივი რეინტეგრაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი გათავისუფლებისთვის მომზადება.

---

177 N2 და N18 პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები სერვისის ხელმისაწვდომობისათვის.

178 მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის ვიდეოპაემნის სერვისით უზრუნველყოფას. N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებები განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებია.

179 Out for Good: Taking Responsibility for Resettlement, Prison Reform Trust, 2012.

პენიტენციური სამსახურის სისტემაში დასაქმებულმა სპეციალისტებმა 2015 წელს შეიმუშავეს და დანერგეს გათავისუფლების მომზადების პროგრამა, სადაც ჩართვა ნებაყოფლობითია. პროგრამის ფარგლებში მსჯავრდებულებს სთავაზობდნენ მოდულებს სხვადასხვა მიმართულებებით. კერძოდ:

- თვითმენეჯმენტი;
- გარემო – მაკროსოციალური ადაპტაციის უნარები;
- სოციალური – მიკროსოციალური ადაპტაციის უნარები;
- აუდიტის პერიოდში გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა მხოლოდ ნახევრად ღია ტიპის[180] და დაბალი რისკის დაწესებულებებში იყო დანერგილი, ანუ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა არ შეეძლოთ დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მომეტებულ და მაღალი რისკის მსჯავრდებულებს, რომელთაც კალენდარულად უწევთ გათავისუფლება ან შესაძლებელია ვადაზე ადრე დატოვონ საპატიმრო,[181] დღეს მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პროცესს მიღმა რჩებიან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2021 წლის თებერვლიდან იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[182] დამტკიცდა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზე 5 პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს.

2017-2020 წლებში გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში სულ ჩართული იყო 151 მსჯავრდებული.

ცხრილი N18. ინფორმაცია 2017-2020 წლებში მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ჩართულობის შესახებ დაწესებულებების მიხედვით

წელი	დაწესებულება	ჩართულ პირთა რაოდენობა	გათავისუფლდა	გათავისუფლებულთა და პროგრამაში ჩართულ პირთა შეფარდება
2017	N12	14	-	-
	N15	21		
	N16	27		
	N17	16		
2018	N11	8	-	-
	N15	10		
	N16	21		
2019	N11	3	4,021	0.5%
	N14	10		
	N16	11		
2020	N14	10	3,858	0.25%

შენიშვნა: ცხრილში გათავისუფლებული მსჯავრდებულების რაოდენობა სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებია, ხოლო 2017-2018 წლების მონაცემები სამმართველოს მიერ ვერ იქნა მოწოდებული, რადგან აღნიშნულ წლებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები აღირიცხებოდნენ ერთად. (იხ. თავი – აუდიტის შეზღუდვები)

180 განთავსებული არიან საშუალო რისკის მსჯავრდებულები;

181 პირობით ვადამდე გათავისუფლება, ამინისტია, შეწყალება.

182 იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ბრძანება N682 „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“;

2019-2020 წლებში 2,871 მსჯავრდებულიდან,[183] რომლებიც პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლდნენ ან სასჯელი შეეცვალათ უფრო მსუბუქი ფორმით, **მხოლოდ 34 ბენეფიციარი იყო ჩართული** გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში.

2020 წელს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ 2015 წელს მომზადებული „გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის" პირველადი ვერსია გადაიხედა პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ექსპერტების მიერ. მათი რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა მოდულების პენიტენციურ სისტემასა და გარე სისტემებზე გადანაწილება და საბოლოოდ შემუშავდა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. პროგრამის მიზანია, მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში იმ სპეციალურად შექმნილ მოდულებსა და ტრენინგებში ჩართვა, რაც დანაშაულის ალბათობის შემცირების ერთ-ერთი პირობაა. განახლებული „გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის" დანერგვა იგეგმება 2021 წელს, N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში, **თუმცა პროცესი დაწყებული არ არის.**

გარდა სარეაბილიტაციო პროგრამებისა, 2018 წლიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების კუთხით დაინერგა **პენიტენციური დაწესებულების დროებითი დატოვების სერვისი, N16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში,**[184] სადაც სასჯელის მოსახდელად განთავსებული არიან:

- მსჯავრდებულები, რომელთაც რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ საშიშროების დაბალი რისკი და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნენ შესაბამის დაწესებულებაში;
- დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის ვადის დასრულებამდე დარჩათ **არანაკლებ ერთი წელი** და დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში.[185]

N16 დაწესებულების შესაბამის **გათავისუფლებისათვის მომზადების განყოფილებაში** მოთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირობებითა და ვადით დატოვონ დაწესებულების ტერიტორია ერთ-ერთი შემდეგი პირობითა და ვადით:

- გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სამუშაო ან/და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად;

---

183 ანალიტიკური პროცედურები განხორციელდა მხოლოდ 2,464 ბენეფიციარის მიმართ, რადგან დანარჩენების ზუსტი იდენტიფიცირება და შედარება ვერ მოხერხდა პირადობის მოწმობის, პირადი ნომრის არ ქონის გამო-იხ. აუდიტის შეზღუდვები;

184 საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსის 715 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით და მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში.

185 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის N71 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში;
- დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში – არაუმეტეს 3 დღე-ღამისა.

შესაბამისად, კანონი მსჯავრდებულს აყენებს არჩევანის წინაშე, აღნიშნული უფლებით სარგებლობისას დრო დაუთმოს სწავლას/დასაქმებას, თუ ოჯახის წევრების მონახულებას.

2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით, გათავისუფლებისთვის მომზადების დროს, საპატიმროს დატოვების უფლებით ისარგებლა **მხოლოდ 61-მა** მსჯავრდებულმა.[186] აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანმა კანონით განსაზღვრული პირობებიდან ისარგებლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში საპატიმროს დატოვების უფლებით, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს, რომლებიც ჩართული არიან გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში, აღნიშნული სერვისით არ უსარგებლიათ, ვინაიდან დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობით, საპატიმროს დატოვების უფლება მხოლოდ მე-16 დაწესებულებაში არსებულ გათავისუფლებისთვის მომზადების განყოფილებაში[187] განთავსებულ მსჯავრდებულებს აქვთ.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის“ მიზნით, 2019 შემუშავდა თავისუფლებააღკვეთილ პირთა გათავისუფლებისათვის მომზადების[188] კონცეფციის პირველადი ვერსია. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მუშაობა, როგორ დაინერგოს ყველა ტიპის დაწესებულებაში კონცეფციით განსაზღვრული საკითხები.

გარდამავალი მენეჯმენტი

საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში უწყებათაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობას.[189] შესაბამისად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სტრუქტურული ერთეულების:[190]

- **კოორდინირებული მუშაობა** – ვინაიდან მსჯავრდებულის ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისას[191] რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობა იქნეს

186 2018-2019 წლებში სერვისით ისარგებლა 60-მა ბენეფიციარმა, ხოლო 2020 წელს მხოლოდ ერთმა - პანდემიის გამო.

187 N16 დაწესებულება, დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა, სადაც სასჯელის მოსახდელად განთავსებული არიან: მსჯავრდებულები, რომელთაც რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ საშიშროების დაბალი რისკი და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში; დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის ვადის დასრულებამდე დარჩათ არანაკლებ ერთი წელი და დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში.

188 გათავისულებისთვის მომზადების პროცესი, გარდამავალი მენეჯმენტის მექანიზმის გამოყენებით.

189 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006) 2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით.

190 პენიტენციური სამსახურისა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

191 პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული ბენეფიციარი, რომელსაც მიენიჭა პირობითი მსჯავრდებულის/ ყოფილი პატიმრის სტატუსი ან პირიქით პირობითი მსჯავრის მქონე ბენეფიციარი, რომელსაც შეეფარდა საპატიმრო სასჯელი.

შენარჩუნებული. გათავისუფლებამდე მიწოდებულ მომსახურებებსა და შემდგომ საჭირო და გაწეული მხარდაჭერის კუთხით ერთიანი ხედვის არსებობა, პროცესს უფრო სრულყოფილს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.

- **მჭიდრო თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორთან** (სხვადასხვა სააგენტოსა და ორგანოებთან), რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან გათავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით კი საყოფაცხოვრებო და სამსახურებრივ სფეროში.[192]

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის არსებობს კოორდინაციის ნაკლოვანებები, კერძოდ: ნორმატიული აქტ(ებ)ით არ არის დარეგულირებული მათ შორის კოორდინაცია და, შესაბამისად, არ მიმდინარეობს სრულწლოვან ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის[193] ურთიერთგაცვლა. აღნიშნული იწვევს როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსების დამატებით ხარჯვას, რაც შესაბამისი კომპეტენციის მქონე[194] თანამშრომლების არასაკმარისი რაოდენობის პირობებში, პროცესზე უარყოფით გავლენას ახდენს.

2015 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებებით[195] დამტკიცდა მსჯავრდებულთა გათავისუფლების პროცესში სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის წესი, თუმცა აღნიშნული ბრძანებებით დარეგულირებული საკითხები ეხება მხოლოდ ქალთა, დაბალი რისკისა და არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების **იმ ნაწილის** სოციალური გარემოს შესწავლას, რომლებიც ექვემდებარებიან საბჭოს მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლებას ან სასჯელის უფრო მსუბუქი ფორმით შეცვლას.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პროცესი ხასიათდება ნაკლოვანებებით, კერძოდ:

- სოციალური გარემოს შესწავლა მხოლოდ ბრძანებით განსაზღვრული ბენეფიციარების მიმართ გამოწვეულია არასაკმარისი სპეციალისტების რაოდენობით. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭო ასევე განიხილავს **საშუალო და მომეტებული რისკის** მსჯავრდებულებისთვის სასჯელის შეცვლის საკითხებს, აღნიშნულ ბენეფიციართა სოციალური გარემოს შესწავლა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი სტატუსიდან გამომდინარე;
- საბჭოზე წარდგენილ ბენეფიციართა მხოლოდ ნაწილზე ხორციელდება შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, რაც მსჯავრდებულებს არათანაბარ პირობებში აყენებს, რადგან ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასებამ, შესაძლოა საბჭოს მიერ სასჯელის შეცვლის გადაწყვეტილებაზე დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონიოს.

---

192 პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ აღნიშნული მიმართულებით 2021 წლიდან ფორმდება შესაბამისი მემორანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

193 მაგალითად: პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის რისკისა და საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის შედგენის და სარეაბილიტაციო პროგრამებში მათი ჩართულობის შესახებ.

194 პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი.

195 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 და 2015 წლის 31 დეკემბრის N179 ბრძანებები.

ბრძანების მიხედვით, არც **ყოფილ პატიმრების** შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნა/მიწოდება წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ პირობას.

ზემოაღნიშნული პროცესის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობა

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. აღნიშნული მიზნით, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმებით,[196] 2017, 2018 და 2019 წლებში გათვალისწინებული იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის[197] წარმოება და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მიმართულებით აქტივობები არ განხორციელებულა, შესაბამისად გეგმით დასახული მიზნები შესრულებული არ არის.

დასკვნა

გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა დანერგილია მხოლოდ ნახევრად ღია ტიპის და დაბალი რისკის დაწესებულებებში. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამით სარგებლობა არ შეუძლიათ დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მომეტებულ და მაღალი რისკის მსჯავრდებულებს, რომელთაც კალენდარულად უწევთ გათავისუფლება ან შესაძლებელია ვადაზე ადრე დატოვონ საპატიმრო. დღეს მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ბენეფიციარები პროცესს მიღმა რჩებიან. 2017-2020 წლებში აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 151 ბენეფიციარი.

არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს გათავისუფლებისთვის მომზადების დროს გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებთან მიმართებით საპატიმროს დროებით დატოვების სერვისით სარგებლობის უფლებას. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა მსჯავრდებულს არჩევანის წინაშე აყენებს აღნიშნული უფლებით სარგებლობისას, დრო დაუთმოს სწავლას/დასაქმებას, თუ ოჯახის წევრების მონახულებას. აღნიშნული კი მსჯავრდებულის საზოგადოებაში რესოციალიზაციისთვის ხელის შემშლელი ფაქტორია.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია ნორმატიული აქტ(ებ)ით არ არის დარეგულირებული. შესაბამისად, არ მიმდინარეობს სრულწლოვან ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

აუდიტის პერიოდში სტრუქტურული ერთეულების მიერ არ განხორციელებულა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის

196 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულება.

197 სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება.

მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება) წარმოება და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების აზრის კვლევა, მათი ჩართულობის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით.

რეკომენდაცია

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს:

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია:

- გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამების/სერვისების მნიშვნელობიდან გამომდინარე. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული, შესაბამისი ექსპერტების მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციები, რომელთა ძირითადი მიზანია, რომ გათავისუფლების მომზადების პროცესი შეეხოს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების საწყისი ეტაპიდან;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმი, რაც შესაბამისი დასაბუთების ფარგლებში, გათავისუფლებისთვის მომზადების დროს, მსჯავრდებულს საშუალებას მისცემს პენიტენციური დაწესებულების დატოვების სერვისით სარგებლობისას, არ იდგეს არჩევანის წინაშე – დრო ოჯახის წევრებთან გაატაროს, განათლება მიიღოს თუ დასაქმდეს.
- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის, გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია შემუშავდეს, პრაქტიკაში დაინერგოს და მონიტორინგი გაეწიოს პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის აქტიურ თანამშრომლობას, ვინაიდან პროცესის მიმართ ერთიანი ხედვის არსებობა და მისი კოორდინირებულად წარმართვა, მას უფრო სრულყოფილს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის;
- რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა გამოწვევაში საზოგადოების საჭიროებისა და ჩართულობის მიზნით სტრუქტურულმა ერთეულებმა დაგეგმონ და განახორციელონ შესაბამისი აქტივობები.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ";
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ";
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანება „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე";
- საქართველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 30 დეკემბრის №614/6 ერთობლივი ბრძანება „მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";
- საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის N110/ნN124 ერთობლივი ბრძანება „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 მარტის N72/N30/ნ ერთობლივი ბრძანება „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესისა და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ";
- სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 4 ივლისის N85 ბრძანება „პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის გარეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასაქმების, ანაზღაურებისა და შესაბამის სამუშაოთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ";
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N33 ბრძანება „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის N39 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანება „მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების

შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე";

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N502 ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ";
- გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები") − United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners ("the Mandela Rules").
- ევროპული ციხის წესები − European prison rules.

პუბლიკაციები

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/217412/impact-employment-reoffending.pdf

https://wp.unil.ch/space/files/2019/05/Key-Findings_SPACE-II_190520-1.pdf

https://www.irishprisons.ie/wp-content/uploads/documents_pdf/How-To-Guide-for-Family-Video-Link-28-April-2020-1.pdf

ვებგვერდები

https://www.justice.gov.ge/

http://www.sps.gov.ge/

http://prevention.gov.ge/

https://www.facebook.com/vetci.gov.ge/

https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106919;

https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106918;

https://online.moc.gov.ge/katalogi

https://www.gov.uk/guidance/visit-a-prisoner-using-a-video-call;

http://www.prisonreformtrust.org.uk/Publications/vw/1/ItemID/160

დანართი N1.

ცხრილი N1. ინფორმაცია 2017-2020 წლებში სტრუქტურული ერთეულების მიერ საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით გახარჯული (იდენტიფიცირებული) სახსრების შესახებ

სტრუქტურული ერთეული	დანიშნულება	2017	2018	2019	2020
პენიტენციური სამსახური	მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია -რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა (მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა) თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი, სოციალური დახმარება, დაზღვევა	2,239,682	2,204,243	1,982,916	1,722,416
	სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ მსჯავრდებულთა ხელფასები	1,036,747	962,140	947,022	912,186
	განხორციელებული შესყიდვები	50,822	9,177	40,196	2,380
	სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების გრძელვადიანი პაემნებით უზრუნველყოფა	78,295	75,660	81,240	17,730
სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამმართველოს თანამშრომელთა (მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა) თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი, სოციალური დახმარება, მივლინება ქვეყნის შიგნით	2,213,954	1,999,833	-	-
სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოს თანამშრომელთა (მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა) თანამდებობრივი სარგო, პრემია, სოციალური დახმარება, მივლინება ქვეყნის შიგნით	176,709	172,870	-	-
	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი	27,911	61,500	-	-
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა და პრობაციის ოფიცერთა (მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა) თანამდებობრივი სარგო, სოციალური დახმარება, მივლინება ქვეყნის შიგნით	-	-	1,971,239	2,386,757
	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი	-	-	8,423	20,067

2017 წელს სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ პროექტისთვის „სოციალურ მუშაკთა ჩართულობა არასრულწლოვან ბრალდებულთა წინასასამართლო პროცესში“, გრანტის სახით გაეროს ბავშვთა ფონდისგან (United Nations Children's Fund, UNICEF) 21.6 ათასი ლარი მიიღო.

ცხრილი N2. ინფორმაცია სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საკუთარი სახსრებიდან მიღებული გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების შესახებ (ათას ლარებში)

წელი	გრანტის გამცემი	გრანტის მიმღები	თანხა
2017	სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო	სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	70.0
2018	სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო	სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	75.0
2018	სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი	სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	30.0
2019	სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო	სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	13.0
2020	სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი[198]	შპს „თოლია 2020“[199]	86.0
2020	სსიპ – დანაშაული პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტო სააგენტო	შპს „პერსპექტივა“[200]	3.4
სულ:			277.4

შენიშვნა: სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენრზე გაცემული გრანტებიდან 168.0 ათასი ლარი გადარიცხულია ა(ა)იპ – „შეცვალე სცენარისათვის“

ცხრილი N3. ინფორმაცია2017-2018 წლებში იუსტიციის სამინისტროს მიერ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისთვის გაცემული გრანტების შესახებ (ათასი ლარი)

წელი	პროგრამის დასახელება	გრანტის მიმღები	თანხა
2017	ყოფილ პატიმართა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა	ა(ა)იპ – სამოქალაქო განვითარების სააგენტო	129.0
2017	საგანმანათლებლო სესიები ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების და ზიანის შესახებ	ა(ა)იპ – ჯანმრთელობის კვლევის კავშირი	10.0
2018	ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა	საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“	180.0
2019	ყოფილ პატიმართათვის, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთათვის N2 და N1 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრუწლოვან მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება	საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“	48.5
სულ:			367.5

198 2 კაპიტალური ტრანსფერი - 18.0 ათასი ლარი და 2 სუბსიდია (მიმდინარე ხარჯებისათვის)- 68.0 ათასი ლარი.

199 სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ 2020 წლის 30 ივლისს დაფუძნებული შპს, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების/ გადამზადებისა და დასაქმების ხელშესაწყობად დაწესებულების ტერიტორიაზე ან/და მის გარეთ განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა (მოაწყოს სახელოსნოები, გააშენოს ხეხილის ბაღები, უზრუნველყოს წარმოებული/ მოყვანილი პროდუქციის რეალიზება და ა.შ.).

200 სსიპ - დანაშაულის პრევენციის არასაპატირმო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წელს დაფუძნებული შპს, რომლის ძირითადი საქმიანობაა მსჯავრდებულთა გრძელვადიანი პაემნებით უზრუნველყოფა.

ცხრილი N4. ინფორმაცია განათლების სამინისტროს მიერ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისთვის განსაზღვრული პროგრამებისა და მათზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების შესახებ (ათასი ლარი)

=დასახელება	2017		2018		2019		2020	
	გეგმა	ფაქტ.	გეგმა	ფაქტ.	გეგმა	ფაქტ.	გეგმა	ფაქტ.
ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	205.0	174.0	210.0	169.0	210.0	212.0	225.0	229.3
მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	200.0	193.0	185.0	125.0	185.0	188.0	8.0	7.5

ცხრილი N5. ინფორმაცია სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ

დასახელება	2017	2018	2019	2020	სულ
სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	930.5	843.8	703.7	467.0	2,945.0

ცხრილი N6. ინფორმაცია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ხარჯების შესახებ ჯამურად

დასახელება	საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში	საკუთარი სახსრები	სულ:
პენიტენციური სამსახური	12,362.8	-	**12,362.8**
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	9,039.3	1,950.9	**10,990.2**
განათლების სამინისტრო	1,297.8	-	**1,297.8**
სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	2,945	-	**2,945**
იუსტიციის სამინისტრო (გრანტები)	367.5	-	**367.5**
იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების საკუთარი სახსრებიდან გაცემული გრანტები	-	168	**168**
გაეროს ბავშვთა ფონდი (United Nations Children's Fund, UNICEF)	-	21.6	**21.6**
სულ:	26,012.4	2,140.5	28,152.9

დანართი N 2.

ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესახებ:

მიზანი A	ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
მიზანი B	**პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განხორციელების გზით განმეორებითი დანაშაულის შემცირება და შედეგად დანაშაულის პრევენცია;**
მიზანი C	პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბრალდებულების, მსჯავრდებულების, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა;
მიზანი D	ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვა;
მიზანი E	პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში „ჯანმრთელი" გარემოს შექმნა გადამდები დაავადებების პრევენციის და შემცირების, სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციის ზომებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესების გზით;
მიზანი F	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და ყველა სათანადო კანონთან, რეგულაციასა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა მართლმსაჯულებისა და საზოგადოების მოლოდინების გამართლების უზრუნველსაყოფად;
მიზანი G	სპეციალური პენიტენციური სამსახურის/პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება, გატარებული რეფორმების ცნობადობის უზრუნველყოფა

ცხრილი N1. ინფორმაცია 2019-2020 წლების იუსტიციის სამინისტროს სამოქმედო გეგმით რესოციალიზაცია- რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით მიზნების მისაღწევად განსაზღვრული აქტივოებებისა და ინდიკატორების შესრულების შესახებ (მიზანი B)

აქტივობა	ინდიკატორები	დასრულებული	მიმდინარე	არ დაწყებულა
B1.1 პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის შემუშავებული რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გადახედვის დასრულება და მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვა	8	5	3	-
B1.2 შემთხვევის მართვის მოდელზე მუშაობის დასრულება N16 დაწესებულებაში და აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში	2	2	-	-
B1.3 პრობაციის სისტემაში რისკებისა და საჭიროებების შეფასების ვალიდურობის დადგენის მიზნით სათანადო კვლევის მომზადება და ჩატარება	2	1	1	-
B2.1 რისკებისა და საჭიროებების შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე სათანადო პროგრამებისა და ინტერვენციების იდენტიფიცირება და შემუშავება	4	1	3	-
B2.2 პროგრამების/ინტერვენციების გავლენისა და შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება	3	1	2	-
B2.3 სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, პრობაციის ოფიცრების და რეჟიმის თანამშრომლების პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი გადამზადების ხელშეწყობა	1	1	-	-
B3.1 გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფციის შემუშავება საქართველოში არსებული ყველა პენიტენციური დაწესებულებისთვის	2	1	1	-
B3.2 გათავისუფლებისთვის მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება	1	-	-	1
B3.3 პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, რომელიც მეტად არის ორიენტირებული გათავისუფლების შემდგომ რისკებზე	3	-	2	1
B4.1 კომპეტენციის სფერო და საჭირო რესურსები შეთანხმებულია	2	2	-	-
B5.1 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის რეფერალის ცენტრის შექმნა	4	4	-	-
B5.2 ფუნქციონირებს კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საქმეების/შემთხვევების სწრაფ კოორდინაციას და რეფერალს (გადამისამართებას)	2	2	-	-
B6.1 სერვისების რუკის/მონაცემთა ერთიანი ბაზის გაუმჯობესება და განახლება	3	1	2	-
სულ:	37	21	14	2
პროცენტული მაჩვენებელი		57%	38%	5%

აუდიტორთა ხელმოწერა: **სახელი, გვარი**	**ხელმოწერა**
ნიკოლოზ სხულუხია უფროსი აუდიტორი, ჯგუფის უფროსი	
მეგი კოდოშვილი წამყვანი აუდიტორი	
შორენა არღვლიანი აუდიტორი	
ნიკოლოზ ქაჯაია უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	
ანა კაკიაშვილი აუდიტორ-ასისტენტი	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE